# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№21 (10.126)

22—29 ივნისი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# ალოობა დაიწყო

**ალოობა დაიწყო. მართალია, ის აქტიურ ფაზაში ჯერ არ შესულა, მაგრამ დედოფლისწყაროში ქერი უკვე გაიჭრა. წლევანდელი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, საჰექტრო მოსავლიანობის პროგნოზი და მარცვლეულის ხარისხი საკმაოდ პოზიტიურია. მოსავლის უდანაკარგოდ აღების მიზნით საკოორდინაციო შტაბი შეიქმნა, რომელმაც ფერმერების შესაბამისი ტექნიკით უზრუნველყოფასა და სახანძრო უსაფრთხოებაზე უნდა იზრუნოს.**



ფერმერი **ლაშა გონაშვილი** ამბობს, რომ წელს ქერისა და ხორბლის უხვ მოსავალს ელოდებიან. მოსავლის დროული აღება-დაბინავებისთვის საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად ხელისუფლების ჩართულობა ყოველთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

ქერისა და ხორბლის მოსავლის აღების შეუფერხებლად უზრუნველყოფისათვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ პაპიაშვილი,** შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიის“ და დედოფლისწყაროს სერვის ცენტრის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

სამუშაო შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დედოფლისწყაროს თვითმმართველობა ქვეყნის ხელისუფლებასთან და „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიასთან“ კოორდინირებულად მარცვლეული კულტურის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ ასაღებად მზადაა .

**ნიკოლოზ ჯანიაშვილის** განცხადებით, სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის კომბაინები მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს მოემსახურება. 1 ჰექტარი მარცვლეული კულტურის აღების ღირებულება კი, ისევე, როგორც გასულ წლებში, 160 ლარი ეღირება. ამასთან ერთად, მოსავლის აღების პროცესში კერძო სექტორში არსებული ტექნიკაც ჩაერთვება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის განცხადებით, ბოლო წლების თანმდევი გამოწვევების შემდეგ, წლევანდელ წელს ხორბლის ხარისხიან და გაზრდილ მოსავალს ელიან.

***„ველოდებით წარმატებულ ალოობას. ხორბლის მოსავლის აღების დაწყებისთანავე ამოქმედდა სამინისტროში შექმნილი საკოორდინაციო შტაბი, რომელიც აქტიურად ჩაერთვება მიმდინარე პროცესების კოორდინირებაში. სამინისტრო და კერძო სექტორი მზად არის ფერმერებს მოსავლის ამღები ტექნიკით დაეხმაროს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამინისტრო, წლების განმავლობაში, აქტიურად უჭერს მხარს და აფინანსებს ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შესყიდვას. ამ პროგრამამ შედეგი გამოიღო და შარშან, მოსავლის აღების პროცესში, ფაქტობრივად, პრობლემა აღარ გვქონია. წელს საკმაოდ კარგ მოსავალს ველოდებით. საჰექტარო მოსავლიანობის და ხარისხის მიმართულებით პოზიტიური სურათია***“, - განაცხადა **თენგიზ ნასარიძემ.**

ფერმერების მთავარ გამოწვევად ხორბლის რეალიზაცია და მისი ფასი რჩება. ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის **ლევან სილაგავას** ინფორმაციით, წელს ქართული ხორბლის ფასი შარშანდელთან შედარებით მაღალი იქნება. ამას განაპირობებს მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდა. თავის მხრივ, ფასების ზრდა მწარმოებელ ქვეყნებში ხორბლის მოსავლის შემცირებამ გამოიწვია, მათ შორის რუსეთში, სადაც მოსავალი ყინვამ დააზიანა.

ლევან სილაგავა ხორბლის სავარაუდო სარეალიზაციო ფასს ასახელებს და ამბობს, რომ წელს 1 კგ ხორბალი 60-65 თეთრი ეღირება. ამის მიუხედავად, ფერმერები ღიად აცხადებენ, რომ ეს ფასი მათთვის მაინც დაბალია და ის თვითღირებულებასაც ვერ ანაზღაურებს. „ქართული ხორბალი იმპორტირებულს კონკურენციას ვერ უწევს. დარგი კი გაკოტრების პირასაა. ხორბლის მწარმოებლები იძულებულები არიან, მოსავალი თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაყიდონ. ამ გამოწვევების გადაჭრის გზად **ნიკოლოზ ბენიაიძეს** სახელმწიფო სტრუქტურების ჩართულობა და შტაბის კოორდინირებული მუშაობა მიაჩნია, რაც სამამულო ხორბლის წარმოების გაზრდაში გამოიხატება. „წისქვილკომბინატების მფლობელები მოგებაზე არიან გადასულები, მაშინ, როცა მეხორბლეები გაკოტრების პირას არიან. ჩვენმა ხორბალმა კონკურენცია რომ გაუწიოს იმპორტირებულს, ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს მეტი ჩართულობა - ახალი ტექნოლოგიებითა და ახალი სათესლე მასალის შემოტანით. ქვეყანაში არსებული სათესლე მასალა ძალიან უხარისხოა. ჩვენ უნდა გავზარდოთ მარცვლეულის წარმოება ახალი ტექნოლოგიების, მეტი საკანონმდებლო შეღავათების დანერგვით, ხარისხიანი სათესლე მასალის შემოტანით, რათა სასურსათო უსაფრთხოების ნაწილში ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული იმპორტზე“ -აცხადებს ნიკოლოზ ბენიაიძე.

პრობლემებისა და დარგში არსებული გამოწვევების ფონზე, აგრარული სექტორის წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ წელს წინა წელთან შედარებით ბევრად გაუმჯობესებული ვითარებაა.

**დედოფლისწყაროელი ფერმერები ამბობენ, რომ მთავარია, ამინდმა ხელი შეუწყოთ და მოსავალი დროულად აიღონ. ტექნიკის დეფიციტი და გრძელ რიგში დგომა, წინა წლებისგან განსხვავებით, მათ წელს არ ემუქრება.**

**ინგა შიოლაშვილი**





## უშუს გუნდის მორიგი წარმატება



*15-16 ივნისს დედოფლისწყაროს უშუს გუნდი იმყოფებოდა უშუ-სანდას ტურნირზე ანანურში, სადაც გუნდმა 3 პირველი ადგილი მოიპოვა.*

*ჩემპიონები გახდნენ:*

**ლუკა ლიქოკელი;*

**გიორგი ქართლელიშვილი;*

**ნიკოლოზ ხარაზიშვილი;*

## მასწავლებლების ხელფასები იზრდება

საჯარო სკოლის ყველა სტატუსიან მასწავლებელს და სპეციალურ მასწავლებელს ხელფასი საშუალოდ 500 ლარით გაეზრდება.

***500 ლარით ხელფასი ეზრდება - 21 000-მდე მასწავლებელს***

***600 ლარით - 8000-მდე მასწავლებელს***

***700 ლარით - 5000-მდე მასწავლებელს***

***800 ლარით - 3000-მდე მასწავლებელს***

***დაახლოებით 25%-მდე მასწავლებელს ხელფასი 300-დან 400 ლარამდე ეზრდება.***

„როგორც ზოგადი, ასევე უმაღლესი განათლების ყველა სფერო იქნება ჩვენი რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება და პრიორიტეტი. პარალელურად, გაგრძელდება მუშაობა კარიერული ზრდის სისტემის დახვეწაზე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. იყო გარკვეული ნაკლოვანებები ამ მიმართულებით და მინისტრთან ერთად აქტიურად გავაგრძელებთ ამ თემებზე მუშაობას“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

## რეგიონული ახალგაზრდული ინიციატივების მხარდასაჭერად განაცხადების მიღება განახლდა

საგრანტო კონკურსის მიზანია საინიციატივო ჯგუფების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდების გაძლიერება, ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობის, ხარისხიანი სერვისების შექმნისა და მათი ხელმისაწვდომობის ზრდის უზრუნველსაყოფად.

*საგრანტო პროექტის წარმოდგენის უფლება აქვს რეგიონში მცხოვრებ:

*არასამეწარმეო იურიდიულ პირს - ახალგაზრდულ ორგანიზაციას;

*ფიზიკურ პირს, რომელიც საგრანტო პროექტის განხორციელების მიზნით, საინიციატივო ჯგუფში აერთიანებს რეგიონში მცხოვრებ არანაკლებ ხუთ ახალგაზრდას.

კონკურსის საერთო ბიუჯეტია 600 000 ლარი. ერთი საგრანტო პროექტის მაქსიმალური დაფინანსება შეადგენს 15 000 ლარს.

საკონკურსო განაცხადები მიიღება ყოველი თვის 13 რიცხვიდან 25-ის ჩათვლით, ელექტრონულ ფოსტაზე - grants-1@youthagency.gov.ge. საგრანტო კონკურსი სრულდება 2024 წლის 10 ნოემბერს.

## მეუფის ხსოვნას მიეძღვნა



19 ივნისი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრის (კაპანაძე) დაბადების დღეა. დედოფლისწყაროს ეწვია წირვის შემდეგ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის დროებითმა მმართველმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მეუფე დიმიტრის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

„სანატრელსა შინა დაძინებასა, საუკუნო განსვენება მიმადლე, უფალო, სულსა მიცვალებულისა, მონისა შენისა, ეპისკოპოსისა დიმიტრისა და მიეც მას საუკუნო ხსენება. ამინ!“ - წერს ეპარქია.

პანაშვიდს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი დაესწრნენ.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე) 1975 წლის 19 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორითში დაიბადა. მას 49 წელი შეუსრულდებოდა. ის ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიას 2015 წლის იანვრიდან გარდაცვალებამდე მართავდა.



## 10 კლასის ჩათვლით სწავლა სავალდებულო ხდება

სკოლებში საბაზო საფეხურს ერთი წელი დაემატება — 10 კლასის ჩათვლით სწავლა სავალდებულო ხდება — აღნიშნულ კანონპროექტი პარლამენტის განათლების კომიტეტმა პირველი მოსმენით უკვე განიხილა.

განათლების მინისტრის მოადგილის, ნოდარ პაპუკაშვილმა განაცხადა, მოსწავლეებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოცდების ჩაბარებაც მოუწევთ.

„ეროვნული სასწავლო გეგმა ისე გადანაწილდება, რომ ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ იყოს დატვირთული; რაციონალურად განაწილდება ის ცოდნის მიღება მოსწავლეებში, რაც აქამდე 9 წელში ხორციელდებოდა. დაემატება ის მნიშვნელოვანი სეგმენტები, რომლებიც საჭირო იქნება მისი უნარების განსავითარებლად. ეს ერთი დიდი რეფორმის ნაწილია... თუმცა აქვე ვიტყვი — მიდის მუშაობა, რომ დაწყებით და საბაზო საფეხურზე განმავითარებელი გამოცდები იქნება დადგენილი, ხოლო საატესტატო — საშუალო განათლების ზოგადი გამოცდა იქნება მე-12 კლასში“, — განაცხადა ნოდარ პაპუკაშვილმა.

## სოფელში მცხოვრებთა რიცხვი ყოველწლიურად იკლებს

საქართველოში სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა ყოველწლიურად იკლებს. 2020 წლის დასაწყისში სოფლად 1 522 400 ადამიანი ცხოვრობდა, 2024 წლის დასაწყისში კი მათი რიცხვი 1 440 400-მდე შემცირდა. მცირედით, თუმცა, კლებაა ქვეყნის მოსახლეობაში სოფლის მოსახლეობის წილის კუთხითაც. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს სოფლად მცხოვრებთა წილი 41% იყო, 2024 წელს კი 39%-ია.

ამასთან, აღსანიშნია, რომ თითქმის ყოველწლიურად მატულობს დედაქალაქში მცხოვრებთა რიცხვი. 2024 წლის მონაცემებით, მათი რაოდენობა 1 258 500-ია, 2023 წელს - 1 241 700 იყო, 2022 წელს - 1 201 800.

ცნობისთვის, 2024 წლის დასაწყისის მონაცემებით, საქართველოში 3 694 600 ადამიანი ცხოვრობს, 2023 წელს კი - 3 736 400 იყო.

## რძის პროდუქტების კონტროლი გაძლიერდა



სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რძისა და რძის პროდუქტების კონტროლი გააძლიერა. სააგენტოს ინსპექტორები მთელი საქართველოს მასშტაბით ყველისა და რძის სხვა პროდუქტების ნიმუშებს იღებენ. 2024 წლის 5 თვის მონაცემებით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ/გადამამუშავებელ ბიზნესოპერატორებთან უკვე განახორციელა 6729 სახელმწიფო კონტროლი. შედეგად გამოვლინდა 508 სამართალდარღვევა, რაზეც გატარდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რძის სექტორში არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს მწარმოებლებსა და ასოციაციებთან. მორიგ შეხვედრაზე, რომელიც სურსათის ეროვნულ სააგენტოში გაიმართა, ყველის მწარმოებლებმა ბაზარზე კონკურენტუნარიანი და სამართლიანი გარემოს შესაქმნელად სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება და სააგენტოს მიერ დარგის გაჯანსაღებისთვის გადადგმული ნაბიჯები და გატარებული ღონისძიებები დადებითად შეაფასეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ შამუგიას დავალებით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე წელს, რძისა და რძის ნაწარმის კონტროლი გააძლიერა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრის მიზნით აღებულ 60 ნიმუშში დარღვევის მაჩვენებელმა შეადგინა 13%-ზე მეტი, ხოლო 2023 წელს აღებული 250 ნიმუშიდან დარღვევა 4,4%-ში გამოვლინდა.

## რთველი წელსაც შსს-ს მონაწილეობით ჩატარდება

მთავრობამ, 2024 წლის რთველისთვის მზადებას იწყებს, რის შესახებაც ორგანიზებულად ჩასატარებელი ღონისძიებები დაამტკიცა.

განკარგულების მიხედვით, ღვინის ეროვნულ სააგენტოს სამუშაო ჯგუფის შექმნა დაევალა, რომელიც უწყებათაშორის ფორმატით იმუშავებს. ჯგუფში შევლენ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მასში შემავალი უწყებები, შსს, საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციები.

ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ღვინის კომპანიებისთვის ყურძნის ჩაბარების პროცესში უზრუნველყონ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

ღვინის კომპანიები, რომლებიც ყურძნის გადამუშავების პროცესში მონაწილეობას იღებენ, რეგისტრაცია რთველის საკოორდინაციო შტაბში ელექტრონულად უნდა გაიარონ. განკარგულების ბოლო პუნქტში კი ნათქვამია, რომ საჭიროების შემთხვევაში, უწყებამ დამატებითი საკრედიტო რესურსი სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან უნდა მოიძიოს. დადგენილებაში არ არის მითითებული, რატომ შეიძლება დადგეს აღნიშნული საჭიროება, ან საუბარი ქართულ ფინანსურ ინსტიტუტებზეა, თუ უცხოურზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროში bm.ge-სთან განმარტავენ, რომ არსებული პრაქტიკით და გასული წლების გამოცდილების მსგავსად, საქმე ეხებათ ბანკებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში კრედიტს სახელმწიფო საწარმოებზე გასცემენ.

# დირექტორის არჩევნები სკოლებში

დედოფლისწყაროს 5 სკოლაში დირექტორი 6 წლის ვადით აირჩიეს, აქედან ახალი კადრი მხოლოდ სამრეკლოსა და სამთაწყაროშია, დანარჩენები მოქმედი დირექტორები არიან. სამეურვეო საბჭოებს სამინისტრომ თითო კანდიდატი წარუდგინა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სკოლის შემთხვევაში მეტი ბარიერგადალახული კანდიდატი იყო.

17-19 ივნისს დირექტორის არჩევნები ჩატარდა სამთაწყაროს, ქვემო ქედის, სამრეკლოს, გამარჯვებისა და არბოშიკის საჯარო სკოლებში. კანდიდატები სამეურვეო საბჭოებმა აირჩიეს, რომლებიც პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეებისგანაა შემდგარი. აქედან სოფელ გამარჯვებაში განმეორებითი არჩევნები ჩატარდა, რადგან გასული წლის ოქტომბერში ამ სკოლაში არჩევნები ჩაიშალა და საბჭომ მოქმედ დირექტორს მხარი არ დაუჭირა. 3 მომხრე–3 წინააღმდეგი იყო, რის გამოც წინა შემთხვევაში კანდიდატურა ჩავარდა.

დირექტორის არჩევნები 8 სკოლაში უნდა გამართულიყო, თუმცა კონკურსის წესით შერჩეული კანდიდატი მხოლოდ 5 სკოლას წარუდგინეს. შედეგები ასეთია:

ეკატერინე ჩიტაური (სამთაწყარო) — 7 ხმა
მაია ხუნაშვილი (არბოშიკი) —7 ხმა
ლელა დარძული (ქვემო ქედი) —6 ხმა, 1 წინააღმდეგი
თამარ ყოჩიაშვილი (სამრეკლო) —5 ხმა
ნინო სულიაშვილი (გამარჯვება) — 4 ხმა, 2 წინააღმდეგი.


არბოშიკი


სამრეკლო


სამთაწყარო


გამარჯვება

**თამარ ყოჩიაშვილი** ***(სამრეკლოს სკოლის დირექტორი):*** „სამრეკლოს საჯარო სკოლა დიდი ტრადიციების მატარებელი და მრავალი ღირსეული თაობის აღმზრდელია. ჩემი მშობლიური სკოლაა და რაც უნდა ბანალურად ჟღერდეს, მისი ეზოს კენჭიც კი მიყვარს. საბჭომ სრული შემადგენლობით ამირჩია. (თავმჯდომარეა პედაგოგი გულნარა ხუციშვილი) მსურს გაიზარდოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.



თუ მოსწავლის წარმატებისა და განვითარების გზაზე მშობელი და მასწავლებელი ერთმანეთს მხარში არ უდგას, არაფერი გამოვა. ვფიქრობ, ოდნავ გაუფერულდა სოფლის სკოლების იმიჯი. ამ კუთხით გასაძლიერებელია მუშაობა. მთელმა ქვეყანამ უნდა გაიგოს იმ ღირსეული მასწავლებლების შესახებ, რომლებიც სოფლის სკოლებში მომავალი თაობის აღზრდით სამშობლოს მუდმივ სამსახურში დგანან.

როგორც დირექტორი ხელს შევუწყობ პოზიტიური სასკოლო კულტურის ფორმირებასა და მასწავლებლის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. მინდა სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით ვუზრუნველვყო მოსწავლეთა თანაბარი ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე. სკოლა გახდეს მეტად კონკურენტუნარიანი. გავითვალისწინებ მართვის თანამედროვე მიდგომებს, ადგილობრივ კონტექსტს, არსებულ გამოწვევებს. სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს.

2002 წელს დავამთავრე ტექნიკური უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი (ხელოვნებათმცოდნეობა) სიძველეთა ტექნიკური ექსპერტის სპეციალიზაციით. ასევე ძვირფასი ლითონების ექსპერტ-შემფასებლის სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელი ვარ. მუდმივად სიახლეებისაკენ მივისწრაფოდი, ამიტომ დავეუფლე ფარმაცევტის, ვეტერინარის და თექის ოსტატის სპეციალობებს, მაქვს სამუშაო გამოცდილებაც. 2007 წელს მონაწილეობა მივიღე მცხეთაში „ბებრის ციხისა“ და ციხისძირში „პეტრას ციხის“ არქეოლოგიურ გათხრებში. 13 წელია ვმუშაობ მშობლიურ სამრეკლოს სკოლაში. ვიყავი ფასილიტატორი და ჩემი უშუალო ჩართულობით 18-მა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი, რაც ძალიან მახარებს. 2018 წელს გავედი მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდებზე, როგორც პროფესიულ უნარებში, ისე საგანში. ორივე დავძლიე 10-10 კრედიტზე. 2022 წელს სტატუსის ასამაღლებელ გამოცდაზე გავედი პროფესიულ უნარებში, დავძლიე წარმატებით და წამყვანი მასწავლებელი ვარ. უამრავი ტრენინგი და სემინარი მაქვს გავლილი. ვმონაწილეობ კონფერენციებში. ასევე ვარ ხარისხის მართვის ჯგუფის წევრი. აქტიურად ვარ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

მინდა გიამბოთ დიდებულ ქალბატონზე, ისტორიის მასწავლებელზე გულიკო ბაძგარაძეზე, რომელიც კლასში მსხდომებს დროში გვამოგზაურებდა. ისე შემიყვანდა ბრძოლის ქარ-ცეცხლში, რომ მონაწილე ვხდებოდი. მის გაკვეთილზე ცრემლებიც ხშირად ჩამომცვენია. სწორედ გულიკო მასწავლებელი იყო ჩემი მოტივატორი. მეუბნებოდა: „თამარ, მაშინ დავანებებ სკოლას თავს, როცა შენ მშობლიურ სკოლაში მასწავლებლად დაბრუნდები“-ო... დიდი ქალაქური პერსპექტივის მიუხედავად მაშინ ჩაბნელებულ, უყველაფრო, მაგრამ ჩემთვის შეუცვლელ სოფელ სამრეკლოში დავბრუნდი. დიდი როლი ითამაშა დედამაც, რომლის ხელში სულ ვხედავდი წიგნს. დედა აქტიურად იყო ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და ჩემი მხარდამჭერი იყო. მასწავლებლის მისია - ესაა ღირსეული, თავისუფალი, სწორი ღირებულებების მქონე პატრიოტი მოქალაქის აღზრდა. მასწავლებლობა უდიდესი პასუხისმგებლობა და მთელი ცხოვრება ბეწვის ხიდზე სიარულია. პედაგოგის სწორმა მიდგომამ შეიძლება ნანგრევებიდან დიდებული შენობა ააგოს, ხოლო არასწორმა დააქციოს. მადლიერი ვარ მშობლიური სკოლისა და მასწავლებლების. ბნელ 90-იან წლებში გაყინულ საკლასო ოთახებში ენთუზიაზმზე მომუშავეებმა მომცეს იმდენი ცოდნა, რომ მე 1997 წელს უფულოდ (რაც იმ დროს წარმოუდგენელი იყო) სახელმწიფო უნივერსიტეტში უფასო ფაკულტეტზე მოვხვდი. ქედს ვიხდი მათი შრომისა და მონდომების წინაშე“.

**ეკატერინე ჩიტაური** ***(სამთაწყაროს სკოლის დირექტორი):*** „სოფელ სამთაწყაროს სკოლას, წლების განმავლობაში არ ჰყოლია სერთიფიცირებული დირექტორი. მსურს წვლილი შევიტანო მოსწავლეთა განათლება-განვითარებაში, ვინაიდან მათთან მუშაობის 4 წლიანმა გამოცდილებამ დამანახა, რომ აქ არის ის მუხტი და მოტივაცია, რასაც მოსწავლის, მასწავლებლის, სკოლის და თემის წარმატება ჰქვია. ვგეგმავ ვითანამშრომლო ჩემს პედაგოგებთან, რომელთა მხარდაჭერითაც შევძლებ სასურველი, სასიამოვნო და პოზიტიური გარემო შეიქმნას, სადაც მოსწავლეს შეეძლება განვითარდნენ წარმატებულ და კრეატიულ ადამიანებად, სკოლის დირექტორის მხარდაჭერა ექნებათ წარმატებისთვის. აუცილებლად ვითანამშრომლებ მშობლებთან, თემთან, ადგილობრივ ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან საგანმანათლებლო გამოცდილების გასაძლიერებლად და მოსწავლეთა შესაძლებლობების გაფართოების მიზნით.



ჩვენი სკოლის სამეურვეო საბჭო 7 წევრისაგან შედგება, თავჯდომარეა პედაგოგი ნანა გახოკიძე. 17 ივნისს გამართულ არჩევნებზე ყველამ ერთხმად დამიჭირა მხარი და დირექტორად ამირჩია. ესაა ნდობა, რომელიც უნდა გავამართლო!.. ეტაპი, რომელიც მეტი პასუხისმგებლობაა, ჯერ საკუთარი თავის წინაშე, შემდეგ იმ ადამიანების წინაშე, ვინც ნდობა გამომიცხადა. ეს ჩემი ცხოვრების ის ეტაპია, რომელსაც ადამიანის წინსვლის ეტაპი ჰქვია, არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ სკოლისთვის, თემისთვის და რაიონისთვის. თითოეული ადამიანის წარმატება დედოფლისწყაროს წარმატებაა, რითაც ვამაყობთ. მასწავლებლის პროფესია ჩემი ბავშვობის ოცნება იყო.. პატარა ასაკიდან სულ ლიდერობა მხიბლავდა და გამომდიოდა კიდეც. მიყვარდა ახალს რომ ვსწავლობდი და სხვას ვასწავლიდი. მშობლის რჩევით კი გავხდი ტექნოლოგიების მასწავლებელი.

დავიბადე 1980 წელს,1986-97 წლებში დავამთავრე არხილოკალოს სკოლა. 1998-2004 წელს კი სულხან-საბა ორბელიანის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი სპეციალობით, ფიზიკა, ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკა. 2008 წელს მუშაობა დავიწყე არხილოსკალოს საჯარო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 2010 წელს გადავედი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლად. 2010-16 წლებში ვიყავი სკოლის საქმის მწარმოებელი. 2012 წელს ჩავერთე პროექტში „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებლი საზოგადეობა“, სადაც ვიყავი მენეჯერი, ასევე, „ლიბერთი ბანკის“ მოლარე ოპერატორი და კრედიტ ოფიცერი. პარალელურად ვმუშაობდი სკოლაში და ორივე სამსახურის პასუხისმგებლობას წარმატებით ვართმევდი თავს. 2016-19 წლებში ვიყავი არხილოსკალოს საზოგადოებრივი ცენტრის მენეჯერ-ოპერატორი. 2019 წლის სექტემბრიდან დღემდე ვმუშაობ ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლად. ასევე 2019 წლის სექტემბრიდან დავიწყე მუშაობა სამთაწყაროს საჯარო სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლად. კომპიუტერულ ტექნოლოგიებს სამ სკოლაში ვასწავლი, არხილოსკალოში, სამთაწყაროსა და ზემო ქედში. დიდი მონდომებით და ხალისით ვნერგავ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამებს. მოგეხსენებათ ეს საგანი ყოველდღიურად ვითარდება და იცვლება, ამიტომ სიახლეებთან და ახალ მიდგომებთან სულ ძიებაში ვარ. ამ ცოდნას და გამოცდილებას ვუზიარებ ყველა სკოლის მოსწავლეს. ვახორციელებ უამრავ პროექტს და ღონისძიებას. მონაწილეობას ვიღებ კონფერენციებში. ძალიან მიყვარს ჩემი საგანი და ვცდილობ ეს სიყვარული ჩავუნერგო ყველა მოსწავლეს“.

**მაია ხუნაშვილი** ***(არბოშიკის სკოლის დირექტორი):*** „დირექტორის შესარჩევ კონკურსში არბოშიკის სკოლიდან კიდევ ორი კანდიდატი მონაწილეობდა. ღირსეული კონკურენცია იყო, მაგრამ სამინისტრომ ასარჩევად ჩემი კანდიდატურა წარადგინა. სამეურვეო საბჭოს შვიდივე წევრმა მხარი დამიჭირა (თავმჯდომარეა მშობელი, სოფი პოპიაშვილი) და ეს ჩემთვის დიდი ნდობაა. სამინისტროს ბრძანებაც უკვე მივიღე, ახალი ეტაპი იწყება და ვეცდები სკოლა იყოს წარმატებული. უცხო გარემოში არ მოვდივარ, აქ დავიწყე პედაგოგიური მოღვაწეობა და ჩემთვის ეს სკოლა კარგად ნაცნობია. პრობლემები და საჭიროებები გათავისებული მაქვს. სკოლას აქვს მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არასახარბიელო მდგომარეობა მწვავედ დგას. ამას გარდა, არსებობს სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა, სადაც საუბარია, რომ სკოლის ძველი შენობა ამორტიზებული და ავარიულია, ამიტომ დემონტაჟს საჭიროებს. ამის გამო შენობა დაცლილია და უკვე რამდენიმე თვეა არბოშიკის სკოლა ზემო მაჩხაანის სკოლის შენობაში, მეორე ცვლაში აგრძელებს სასწავლო პროცესს. დემონტაჟი ჯერ კიდევ არ დაწყებულა, მოლოდინში ვართ რომ დაინგრას და ამავე ადგილას ახალი სკოლა აშენდეს. ვადები ჩვენზე არ არის დამოკიდებული, კომპანიების გამოვლენა სამინისტროს დონეზე ხდება. ასე დამებედა, რომ დირექტორობის დროს მიწევს ძველი შენობების დემონტაჟი და ახლის მშენებლობა. მაჩხაანის სკოლის შემთხვევაში ჩვენ ვაცხადებდით ტენდერს და ჩვენ ვარჩევდით შესაბამის კომპანიებს, ახლა ეს პროცედურა შეცვლილია და ჩვენზე არ არის დამოკიდებული. საკმაო გამოცდილება დამიგროვდა. მზად ვარ ხელახლა შევეჭიდო ამ გამოწვევას, ასაკი და ენერგია ხელს მიწყობს და ძალას არ დავიშურებ. წინ გვაქვს, ასევე, ავტორიზაციის შრომატევადი პროცესი, მაგრამ სანამ შენობა არ გვექნება, ვერ დავიწყებთ. მაჩხაანთან შედარებით არბოშიკში უფრო მწვავედ დგას მიგრაციის პრობლემა. შესაძლოა მეორე ცვლაში სწავლა კიდევ უფრო ხელს უწყობდეს მიგრაციას, რადგან განსაკუთრებით მაღალი კლასებისთვის მოუხერხებელია საღამოს სწავლება, რადგან ველარ ახერხებენ რეპეტიტორებთან დამატებით მომზადებას.



ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე მათემატიკოსის სპეციალობით, დამთავრებისთანავე, 1991 წლიდან არბოშიკის სკოლაში დავიწყე მუშაობა. რამდენიმე თვის განმავლობაში ფსიქოლოგად ვმუშაობდი, შემდეგ ღამის სკოლაში ვასწავლიდი. იმხანად არბოშიკის ღამის სკოლაში 40-ზე მეტი მოსწავლე დადიოდა, დღის სკოლაში კი მხოლოდ 10. შემდეგ კი 1993 წლიდან ძირითადად მათემატიკის საათები ავიღე და დღემდე უწყვეტად მოვყვები. 2014 წლიდან ვცდილობდი დირექტორობას, მაგრამ მაშინ არბოშიკის სკოლაში მანანა ჭილიტაშვილმა გაიმარჯვა, მე კი მომდევნო წელს ზემო მაჩხაანში ვცადე ბედი და იქ ამირჩიეს დირექტორად. ამის მიუხედავად, არცერთი წუთით არ დამიტოვებია არბოშიკის სკოლა. რამდენიმე საათი მაინც მქონდა და კავშირი არ გამიწყვეტია“.

/დასასრული გვერდი 5/

# „სამყაროში მუდამ ეძიეთ მრავალფეროვნება“

***გაზეთი „შირაქი“ მუდმივად ცდილობს ისეთი ბავშვები და ახალგაზრდები გაგაცნოთ, რომლებიც ასაკის სიმცირის მიუხედავად არამარტო საკუთარი, არამედ ქვეყნისთვის უკვე ბევრ ღირსეულ, სასიკეთო საქმეს აკეთებენ. ჩართულნი არიან არაფორმალურ განათლებაში, იძენენ შეუფასებელ ცოდნას და გამოცდილებას სხვადასხვა პროექტებით, სურთ მომავალი კიდევ უფრო ნათელი და მრავალფეროვანი გახადონ, მათი საცხოვრებელი გარემო გააუმჯობესონ, საკუთარი სამშობლოს სახელი საზღვრებს გარეთ გაიტანონ და მსოფლიოს გააცნონ.***

რუბრიკა „თაობის“ დღევანდელი სტუმარი ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მოსწავლე **ნიკოლოზ ბენაშვილია,** რომელიც ერასმუსის+ გაცვლითი პროგრამის გამარჯვებული გახდა იმ 13 მონაწილეს შორის, რომელიც საქართველოდან შეირჩა. ის აგვისტოში ირლანდიაში გაემგზავრება. პროექტის თემაა ***„მრავალფეროვნება ჩვენი ძალაა“,*** რომელზეც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად იმუშავებს და საქართველოს წარადგენს. ნიკოლოზი საკუთარ თავს ინჟინერიაში ხედავს, თუმცა, დამატებით ფსიქოლოგიის შესწავლას არ გამორიცხავს. მისთვის თანამედროვე სამყარომ ადამიანები ერთმანეთს დააშორა, ამბობს, რომ „რამდენადაც ტექნოლოგიურმა პროგრესმა წინსვლა მოუტანა ცივილიზაციას, იმდენად კომუნიკაციის ნაკლებობას განიცდის თანამედროვე ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე არაა განვითარებადი ტექნოლოგიები და სოციალური ქსელები, სადაც გატარებული 2 საათი, უამრავ სხვა სასარგებლო აქტივობაში შეიძლება გამოიყენო. არ უნდა დავკარგოთ ერთმანეთთან კავშირი, რადგან სოციალურ ქსელებში გატარებული დრო ბევრი კარგი გამოცდილების დაკარგვის შანსს უფრო ზრდის“. მაშ ასე, გაიცანით ნიკოლოზ ბენაშვილი.



***-ნიკოლოზ გაეცანი ჩვენს მკითხველს. ვინ არის ნიკოლოზ ბენაშვილი? რას აკეთებს თავისუფალ დროს? რა გატაცებები აქვს, ჰობი...***

მე ვარ ნიკოლოზ ბენაშვილი, 14 წლის, ვსწავლობ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში. ჩემს თავს აღვიქვამ ადამიანად, რომელიც მუდამ ცდილობს, რამე ახალი იპოვნოს, რაღაც ახალი დანერგოს, მუდამ ცნობისმოყვარეობით ვუყურებ ყველაფერს. საკუთარი გატაცებებიდან მე გამოვარჩევ ცეკვას, იმიტომ რომ ცეკვა არის ის, რაც საკუთარ ფესვებთან მაკავშირებს. ვცდილობ, საკუთარი თავი ყველა ასპექტში განვავითარო - იქნება ეს ფიზიკური ვარჯიში, კალათბურთი, ფეხბურთი და ა.შ. თავისუფალ დროს ძირითადად მიყვარს კითხვა. ამავდროულად მიყვარს წაკითხულის სხვებთან გაზიარება. მაქვს პატარა კლუბი, სადაც წაკითხულ წიგნებს ვაშინაარსებთ. ჩემთვის გამორჩეული წიგნი „პოზიტიურად აზროვნების ძალა“ აღმოჩნდა, რადგან მან რადიკალურად შემცვალა. ბავშვებს ვასწავლი, როგორ უნდა იაზროვნონ პოზიტიურად. ყველაზე მთავარი ამ ცხოვრებაში ის არის, რომ პოზიტურად შევხედოთ ყველაფერს რაც ჩემთვის, ასე ვთქვათ, ძლიერი მხარეა. ასეთია ნიკოლოზი.

***-მოგვიყევი იმ პროგრამის შესახებ რომელშიც ჩაერთე?***

ეს არის ახალგაზრდა ლიდერთა გაცვლითი პროგრამა, რომელიც ფინანსდება ევროკავშირის მიერ. ერასმუსში განხორციელებული თითოეული პროექტი სხვადასხვა თემებთან არის დაკავშირებული. მე გავხდი ერთ-ერთი სპეციფიკური პროექტის „მრავალფეროვნება ჩვენი ძალაა“ გამარჯვებული. შედეგად, 26 აგვისტოს, 10 დღით გავემგზავრები ირლანდიაში. ეს პროექტი ძირითადად ემსახურება იმას, რომ საკუთარი ქვეყანა მაქსიმალურად წარმოაჩინო, მისი ფესვები, კულტურა, ტრადიციები. სხვა ქვეყნებიდანაც იქნებიან ბავშვები, მაგალითად, ესპანეთიდან, ჩეხეთიდან და ა.შ. უნდა ვეცადოთ, ჩვენი ქვეყანა წინა პლანზე წამოვწიოთ და ჩვენი შესაძლებლობები გამოვავლინოთ. ვეცდები, ჩემი სამშობლო მაქსიმალურად წარმოვაჩინო მაქსიმალურად. ვფიქრობ, ეს პროექტი ძალიან კარგია იმისთვის, რომ როგორც პიროვნება განვითარდე, ასევე შენი ქვეყანა წარმოაჩინო და შენს ქვეყანაში კიდევ ბევრი ახალგაზრდა დააინტერესო.

***-როდის გაიგე ამ პროგრამის შესახებ და რატომ გადაწყვიტე მონაწილეობა?***

ამ პროექტის შესახებ, ჩემი დისგან, თაკო ბენაშვილისგან გავიგე. დავინტერესდი, რადგან ყოველთვის მინდოდა მსგავსი გამოცდილების მიღება. თუმცა, თავიდან დარეგისტრირების მეშინოდა. არ ვიყავი ისეთი პიროვნება, რომელიც სიახლეების მუდმივ ძიებაში იყო და გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებდა. თუმცა, გულის სიღრმეში, მსგავს პროექტებში მონაწილეობის სურვილი მაინც მქონდა და სწორედ, ამ დროს, გამოჩნდა ეს პროექტი „მრავალფეროვნება ჩვენი ძალაა“. აპლიკაციის შესახებ და პროექტის გაგზავნამდე სულ რაღაც ოთხი საათით ადრე გავიგე და ძალიან მცირე დრო მქონდა, ჩემი აზრები რეალობად მექცია. სამწუხაროდ, პირველი ორი საათი, ასე ვთქვათ, საკუთარი თავის დარწმუნებას მოვანდომე, რომ ეს უნდა გამეკეთებინა. მოტივაცია ჩემი და და ოჯახი იყო. ასევე გავიხსენე, რომ ჩემს უკან უამრავი ადამიანი იდგა. შესაბამისად, არ უნდა დავნებებულიყავი. ასე რომ, დარჩენილი ორი საათი მაქსიმალურად ვკონცენტრირდი. შედეგად, მოხდა ისე, რომ 1000 აპლიკანტიდან შერჩეულ 13 ბავშვს შორის მოხვდი.

***-ეს ერთგვარი გამოწვევა ხომ არ არის საკუთარი თავისთვის?***

რა თქმა უნდა, ეს გამოწვევაა, რომლისგანაც ძალიან ბევრს და დიდ შედეგს მოველი. იმისთვის, რომ ამ პროექტში მონაწილეობა გადამეწყვიტა, საკუთარ თავთან ჭიდილი და გამარჯვება მომიწია, შინაგანი ხმების დამარცხება, რომლებიც მეუბნებოდნენ, თითქოს ეს არ შემეძლო. დიდი გამოცდილება იყო, იქიდან გამომდინარე, რომ ყველაფერს გამოწვევად აღვიქვამ. ამ გამოწვევების დაძლევის შედეგად მიმტკიცდება საკუთარი თავის რწმენა.

***-შენი ოჯახის გარდა თუ იყო ვინმე ვინც ამ პროგრამაში მონაწილეობდა და ისიც მოტივატორი გახდა შენთვის?***

აქამდე, ამ პროგრამაში მონაწილეებს არ ვიცნობდი, შესაბამისად, ოჯახთან ერთად მოტივატორად მხოლოდ საკუთარი თავი მყავდა. ვალდებულად ვთვლიდი რაღაც განსხვავებული გამეკეთებინა. ამიტომ რჩევა-დარიგება ისევ საკუთარი თავისგან უნდა მიმეღო.

***-რა მოლოდინები გაქვს? როგორია განწყობა?***

უპირველესად, ველოდები ახალი ადამიანების გაცნობას. გარდა ამისა, საქართველო არ არის ისეთი ქვეყანა, რომელიც ძალიან ცნობილია მსოფლიოში და ვიმედოვნებ, საკუთარი ქვეყნის პოპულარიზაციას უფრო მეტად შევუწყობ ხელს. მინდა, საქართველოშიც დავაინტერესო ბევრი ახალგაზრდა ერასმუსის პროექტით. ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი საშუალებაა, თინეიჯერებისთვის, რომ უფრო მეტად შევძლოთ საკუთარი ქვეყნის სახელი საზღვრებს გარეთ ფართოდ გავიტანოთ. ვიცი, რომ ძალიან ბევრ რამეში გამომადგება ეს პროგრამა, სამომავლოდ ბევრ ახალ კარს გამიხსნის. ცოტა ვღელავ. ახალი გარემო, უცხო ქვეყანა, ახალი ადამიანები, რადგან ძირითადად ახალ ადამიანებთან შესაგუებლად დრო მჭირდება. მიზეზი, ალბათ, ისევ ჩემი ხასიათია. უკვე ორი წელია რაც ცეკვის ანსამბლში ვარ და ჯერ კიდევ ვერ დავუახლოვდი წევრებს. ჩემთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა იყო, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც დაძლევადია და არ უნდა შემაჩეროს ამან მომავალში. საკუთარი შესაძლებლობების მჯერა და ვიცი, რომ ამ პრობლემასაც გადავლახავ.

***-შენთვის რა არის მრავალფეროვნება და რატომაა ის ძალა?***

მე ვიყავი ადამიანი, რომელიც ერთფეროვანი სამყაროს და განმეორებადი ყოველდღიურობის მსხვერპლი გახდა. სწორედ ამის აღმოფხვრას ვცდილობდი და დღემდე ვცდილობ. მინდოდა, ადრეული ბავშვობიდანვე ამის წინააღმდეგ წავსულიყავი და სოფელში მრავალფეროვანი გარემო შემექმნა. ამიტომ, მრავალფეროვნება ჩემზე მორგებული თემა აღმოჩნდა. ვცდილობ, ახალი ადამიანები გავიცნო და ახალ გარემოს დავუკავშირდე. ყოველდღიურობას ლაშქრობებით, სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებით ვუმკლავდები ჩემს თანატოლებთან ერთად, რომლებიც ჩემს აზრებს იზიარებენ. ყოველდღიურად სკოლა დამღლელია. ცნობილია, რომ 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა, ახალგაზრდებიც უფრო მიჯაჭვულები არიან სხვადასხვა ინტერნეტ თუ ვიდეო თამაშებს, ამიტომ ადამიანებს ახალ გარემოსთან შეგუება და კომფორტის ზონიდან გამოსვლა უჭირთ. საჭიროა, ჩვენი გარემო უფრო სხვა კუთხით დავინახოთ. სამყაროში უამრავი რამაა, რისი შესწავლაც შეიძლება. მრავალფეროვნება სწორედ საკუთარი თავიდან მოდის. ის ყოველდღიურობაში ვლინდება. ახლახანს, სამხედრო ლეგიონში ვიყავი გაწევრიანებული და მანდაც აღმოვაჩინე მრავალფეროვნება. მივხვდი, რომ ადამიანებთან მართლა შემეძლო კონტაქტი, იმიტომ რომ ჩვენ რაც გვაკავშირებს ეს მრავალფეროვნებაა. ყველა ადამიანს განსხვავებული აზრი აქვს. შეგვიძლია ერთმანეთში სწორედ ეს განსხვავებული აზრები გავცვალოთ, ერთმანეთს მრავალნაირად დავუკავშირდეთ. არ არის აუცილებელი, ერთნაირი აზრები გვაკავშირებდეს. მრავალფეროვნებაა რაც ადამიანებს ერთმანეთთან კომუნიკაციაში გვეხმარება და გვაახლოვებს, იმიტომაა ის ძალა.



***-რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის არაფორმალური განათლება?***

როგორც ცნობილია, დღესდღეობით არაფორმალური განათლება შედარებით ნაკლებია და ძირითადად თინეიჯერი ბავშვები სკოლის ცხოვრებაზე არიან გადართულნი. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი თანაბრად უნდა შემოვიტანოთ ცხოვრებაში, რადგან რამდენადაც მნიშვნელოვანია სასკოლო განათლება, არანაკლებ მნიშვნელოვანი და აუცილებელია არაფორმალური განათლებაც. ის ანვითარებს ადამიანს და იმ წერტილამდე მიჰყავს, რათა მას უკვე მრავალი საკითხის გაცნობიერება შეეძლოს. არაფორმალური განათლება, ჩემი აზრით, უფრო ხალისით შემოდის შენს ცხოვრებაში და თუნდაც სხვა ადამიანების გამოცდილება შენზეც დიდ გავლენას ახდენს. კლუბ „გაავრცელე სითბოში“ როდესაც ვიყავი გაწევრიანებული, პირველად სწორედ მაშინ განვიცადე არაფორმალური განათლების გავლენა. მივხვდი, როგორი მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს სხვების დახმარება, ერთმანეთის გათვალისწინება შენი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისთვის. სხვა კუთხით და მესამე თვალით უნდა შეხედო ამა თუ იმ მოვლენას. არაფორმალური განათლება, ჩემი აზრით, ძალზედ მნიშვნელოვანია თითოეული თინეიჯერის ცხოვრებაში. შენი დროის ძალიან ცოტა პროცენტიც რომ დაუთმო, ეს ძალიან დიდ შედეგებს გამოიღებს. თვალსაწიერსაც გაგიფართოვებს და ხანდახან შეიძლება იფიქრო კიდეც, რომ ასეთი ფართო ჰორიზონტი თუ იყო ჩემს თვალწინ გადაშლილი, აქამდე სად ვიყავი და როგორ ვერ აღმოვაჩინეო. სწორედ, ეს შეკითხვა დავუსვი საკუთარ თავსაც: „აქამდე სად ვიყავი?“ ძალიან ბევრი შესაძლებლობა მქონდა, ჩემს თვალწინ იყო ეს ყველაფერი, თუმცა, მე ვერ ვხედავდი. აუცილებელია, დაკვირვებით შევხედოთ და არ გამოგვრჩეს ის სიკეთეები, რაც ცხოვრებას ჩვენთვის მოაქვს.

***-რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროცესების დროს მხარდამჭერი ადამიანების არსებობა?***

ვფიქრობ, აუცილებელია მხარდამჭერი ადამიანების არსებობა ჩვენს ცხოვრებაში, ვინც მხარს დაგიჭერს და ბიძგს მოგცემს. ანდაზას მოვიშველიებ: **„თუ გინდა რომ სწრაფად წახვიდე, უნდა წახვიდე მარტო, მაგრამ თუ გინდა წახვიდე შორს, უნდა წახვიდეთ ერთად“.** ადამიანის მარტო არსებობას და მარტო წინსვლას ყოველთვის აქვს ლიმიტი, და როდესაც ადამიანს გვერდში მოტივატორი ან თანამოაზრე გიდგას, რომელიც შენთან ერთად შრომობს და ერთად განიცდით ყველაფერს, ამას ლიმიტი არ აქვს და უსასრულოდ შეგიძლია გააგრძელო წარმატებისკენ მიმავალი გზა.

***-აპირებ თუ არა არაფორმალური განათლების კუთხით სხვა პროექტებში მონაწილეობას?***

ისეთი ადამიანი ვარ, რომელიც აწმყოთი ცხოვრობს. თუმცა, მომავალზეც ვზრუნავ. ვფიქრობ, ერასმუსის პროექტებში კვლავ მივიღებ მონაწილეობას და სხვა ქვეყნებშიც გავიტან ჩემი ქვეყნის სახელს. უფრო შორეულ მომავალზე რომ ვისაუბროთ, მინდა საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება და ცოდნა საქართველოს დავუბრუნო და მადლობა გადავუხადო გაწეული სამსახურისთვის, დავაჯილდოვო, წინ წავწიო. მომავალში მსურს, ადამიანებს დავეხმარო და მივცე საშუალება რომ კომფორტის ზონიდან გამოვიდნენ და შეიცნონ ის გარემო, რომელსაც აქამდე არ იცნობდნენ. მინდა წიგნი დავწერო, სადაც ადამიანებს მოვუხმობ ცხოვრების ახალი სტილისკენ, რაც ნეგატიური ფიქრების პოზიტიური აზროვნებით ჩანაცვლებას გულისხმობს. ამის მოტივაცია კი ჩემმა პირველმა თვითგანვითარების წიგნმა „პოზიტიური აზროვნების ძალამ“ მომცა, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ჩემი ცხოვრება. დამეხმარა საკუთარი თავის განვითარებაში და დამაახლოვა ღმერთთან. პოზიტიური აზროვნება არის წარმატებული ცხოვრებისკენ მიმავალი გზა.

***-რამდენად ეხმარება სკოლა ბავშვს ჩართული იყოს არაფორმალურ განათლებაში? როგორია შენი აზრით სკოლის როლი ბავშვის განვითარების საკითხში?***

სკოლა გარდა იმისა, რომ გვაძლევს საგნობრივ ცოდნას, ის ძალიან გვეხმარება სხვა ადამიანები გავიცნოთ, თავიდანვე პასუხისმგებლიან პიროვნებებად გავიზარდოთ. სწორედ ეს თვისება - პასუხისმგებლობა გამოგვადგება არაფორმალურ განათლებაშიც. სკოლისგანაც ხშირად მიმიღია გამოწვევები, ბევრი პროექტები, სადაც ჩავრთულვარ. ჩემი სკოლაც მაქსიმალურად ცდილობს, რომ განსხვავებული პროექტები შემომთავაზოს, რაშიც ჩართვას და აქტიურობას შევძლებ სხვა ბავშვებთან ერთად. ასეთ დროს სკოლა მართლაც მეორე სახლი ხდება. ჩემს შემთხვევაში, წინა წლებს რომ გადავხედო, დღეს მეტად დაბალანსებულია ფორმალური და არაფორმალური განათლება. არ ვიყავი ადამიანი, რომელიც გავიდოდა გარეთ და მეგობრებთან გაერთობოდა. მეტ დროს სწავლას ვუთმობდი, მაგრამ წელს ყველაფერი შეიცვალა და მეტად გავიხსენი. ცხოვრების სხვა სტილზე გადავედი. რამდენადაც მაღელვებს სწავლა, იმდენადვე მაღელვებს ჩემს მეგობრებთან გატარებული დრო, ჩვენი განვითარება, სოციალიზაცია.

***-რას ურჩევდი შენს თანატოლებს? რა არის შენი გზავნილი?***

თინეიჯერული წლები ძალიან მოკლეა. თვალის დახამხამებაში გაივლის. ამიტომ ჩემი მთავარი გზავნილი იქნება შემდეგი: არასდროს შეწყვიტონ ძიება. მუდამ ეძიონ მრავალფეროვნება სამყაროში, იმოგზაურონ და მოახმარონ დრო ისეთი თვისებების განვითარებას, რაც უკეთესი მომავლის შექმნაში დაეხმარებათ. არ უნდა დაგვავიწყდეს საკუთარ თავზე მუშაობა. მუდამ უნდა ვიბრძოლოთ საკუთარი გონების დასახვეწად. ნეგატიურ ფიქრებს გმირულად უნდა შევხვდეთ, ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ და ასე მივაღწევთ წარმატებას. ადამიანებმა ძიება არ უნდა შეწყვიტონ, მუდამ არის რაღაც საძიებელი, რომელიც დაგეხმარება, რომ შენი თავის უკეთესი ვერსია გახდე.

**ქუქუნა ყანჩაშვილი**
**ხათუნა ბენაშვილი**

# „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა...“

***20 ივნისს, ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონი“-ს მსახიობების მონაწილეობით სპექტაკლის პრემიერა გაიმართა. ნორჩმა მსახიობებმა სცენაზე ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ გააცოცხლეს. სპექტაკლის რეჟისორი „ბერიკონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ცარო მარტიაშვილია.***

სცენაზე გაცოცხლდა საუკუნეების წინანდელი მთის ხალხი, თავიანთი წეს-ჩვეულებებითა და ჩაცმულობით. მაყურებელმაც მსახიობებთან ერთად წარსულის იმ დროში გადაინაცვლა, როცა კავკასიის ხალხის ორი ტრადიცია: სტუმარ-მასპინძლობისა და სისხლის აღების - ერთმანეთს დაუპირისპირდა. ეს არის ეროვნულ მოტივებზე აგებული, თანამედროვე თეატრალური ფორმებით გააზრებული დადგმა, რომლის მეშვეობით ქართული ცნობიერების, მენტალობის, ტრადიციების, მსოფლმხედველობისა და ფოლკლორის სინთეზურად წარმოჩენა ხდება. და რაც ყველაზე მთავარია, რეჟისორის მიერ მიგნებული ფორმის წყალობით ხდება ნაწარმოებში დასმული პრობლემის წარმოჩენის ხედვა, რეჟისორული გადაწყვეტა, პოემაში წამოჭრილი საკითხების მასშტაბური და ღრმა გააზრება.

***კლასიკა სცენაზე ყველა რეჟისორისთვის რისკზე მეტია. ხუმრობა საქმე არაა, გააცოცხლო გმირი, რომელსაც ყველა ადამიანი თავისებურად და თავისად ხედავს. ყველას თავისი ზვიადაური, ჯოყოლა და აღაზა ჰყავს... და ამ მოცემულობაში შესთავაზო მათ სასცენო, შენეული ვერსია, საკმაო რისკებს შეიცავს. როცა მაყურებელი რეაგირებს ყველა ფრაზაზე, ყველა სიტყვაზე, ყველა მოძრაობაზე...თითოეული მათგანი ამ დროს ესთეტიურ ტკბობასთან ერთად კრიტიკოსადაც გვევლინება. „ბერიკონის“ რეჟისორმა ეს რისკი გასწია და წარმატებული სპექტაკლიც დადგა. ბავშვებმა სიღრმისეულად შეისწავლეს პოემა და მისი გააზრებაც შეძლეს.***

ნაწარმოებში ყველაზე დიდი ზნეობრივი განსაცდელის პირისპირ ჯოყოლა აღმოჩნდება. ამ განსაცდელმა მას შეიძლება დააკარგვინოს ის, რაც უძვირფასესი აქვს: პიროვნული სახე, ღირსება, შინაგანი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჰუმანურობა. მთელი თემი იმისკენ უბიძგებს ჯოყოლას, რომ გაწიროს ზვიადაური. ყველაფერზე მეტად კი ის, რომ თუ ასე მოიქცევა, სოციალური მორალის თვალსაზრისით მართალი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ზვიადაურმა მოატყუა, თავისი ვინაობა დაუმალა. მაგრამ არჩევანის გაკეთებისას ის ემორჩილება მხოლოდ საკუთარ, ინდივიდუალურ-პიროვნულ ზნეობას, ყურს უგდებს მხოლოდ საკუთარი სინდისის, ღირსების გრძნობის, ადამიანურობის ულრმეს ხმას და გადარჩება, როგორც ზნეობრივი პიროვნება.



დედოფლისწყაროს თეატრის „სტუმარ-მასპინძელის“ ერთ-ერთი ღირსება ანსამბლურობაცაა, სადაც



ჯგუფის წევრები აცნობიერებენ და იაზრებენ სცენური პარტნიორობის უპირატესობას. სპექტაკლის მონაწილეები გამოირჩეოდნენ დახვეწილი სასცენო მეტყველების კულტურით, გარდასახვის უნარით, გამართული და ლოგიკას დაქვემდებარებული სცენური მოქმედებით. ნორჩი მსახიობების განცდები იყო გულწრფელი, მართალი, ამიტომაც მოახდინეს ემოციური ზეგავლენა მაყურებელზე. აი ისინიც, ვინც „ბერიკონის“ სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად სპექტაკლის წარმატებული პრემიერისთვის შრომა გასწიეს.



**მუსიკალური გაფორმება- გოდერძი აბულაშვილი.**

**მხატვარი- გია ყაჭაშვილი.**

**განათების ოპერატორი- სანდრო ჭილიტაშვილი.**

**კოსტიუმები - მანანა ნაროზაული.**

**გრიმი და აქსესუარები - სოფიო კირვალიძე.**

**ქორეოგრაფი - ნათია ცინცაძე.**

**მოქმედი გმირები და შემსრულებლები:**

**ჯოყოლა - ნიკა შანშაშვილი.**

**ზვიადაური - გურამ გოგაშვილი.**

**აღაზა - ნინო პაპუაშვილი.**

**მუსა-ლუკა მენთეშაშვილი.**

**ძმის აჩრდილი- დემეტრე ფიროსმანაშვილი.**

**ბედის მწერლები - ლალა ჩოფიკაშვილი, მარიამ ცინდაძე, ანა სესიტაშვილი.**

**ქალების ქორო - ქეთი მეხრიშვილი, ანანო ბადრიშვილი, ანანო ბიძინაშვილი, მარიამ ხუციანიძე, მარიამ ალუღიშვილი.**

**ქისტები - საბა ყაზარაშვილი, თომა ლომსაძე, ნიკა თარაშვილი, გიორგი ქადაგიძე, გიორგი ნიკვაშვილი.**

**მასობრივ სცენებში - მარიამ კაკალაშვილი, გვანცა ალუღიშვილი, ელენე თეთრაული.**

სპექტაკლის ნორჩი მსახიობები მაყურებელმა ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დაასაჩუქრა.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ გააცილეს „ბერიკონელების“ ის თაობა, რომელთაც საჯარო სკოლა დაამთავრეს და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავიდნენ: **მათე ხოსროშვილი, ანასტასია ჩუბინიძე, ანა იგნატიევა, თებრო ლომსაძე, დარეჯან ნასრაშვილი, იოანე შიუკაშვილი და გიორგი ალუღიშვილი.** მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **მალხაზ მერაბიშვილმა** მათ მადლობის სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

„დიდი მადლობა ყველას ამ მშვენიერი სპეტაკლისათვის, რეჟისორს, მსახიობებს, რომელთაც კიდევ ერთხელ გააცოცხლეს ვაჟა-ფშაველას უკვდავი ნაწარმოები, რითიც ეს გენიოსი დრომოჭმულ ტრადიციას დაუპირისპირდა“-განაცხადა მალხაზ მერაბიშვილმა.

**ბოლოს სცენაზე „ბერიკონის“ მეორე თაობა და მომავლის „ბერიკონელები“ წარსდგნენ მაყურებლის წინაშე, რომელთაც წარმოადგინეს ნაწყვეტი სპექტაკლიდან „ფიროსმანი“.**

**ინგა შიოლაშვილი**

# დირექტორის არჩევნები სკოლებში

/მესამე გვერდიდან/

**ლელა დარძული** *(ქვემო ქედის სკოლის დირექტორი):* „ეს ჩემი მშობლიური სკოლაა, განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს მის მიმართ. სამეურვეო საბჭომ, რომლის თავმჯდომარეა ალექსი დოჯურიშვილი, მხარი დამიჭირა — 6 ხმა, 1 წინააღმდეგი. ჩვენი სკოლიდან დირექტორობის სურვილი კიდევ ერთ პედაგოგს ჰქონდა, მანაც ჩემთან ერთად გაიარა გასაუბრება და ღირსეული კანდიდატია, თუმცა სამინისტრომ სამეურვეო საბჭოში მხოლოდ ჩემი კანდიდატურა წარადგინა. სამი წელია დირექტორის მოვალეობას ვასრულებ, მაგრამ სულ მქონდა განცდა, რომ დროებით ვიყავი და ბევრი უნდა მომესწრო, მაქსიმუმი გამეკეთებინა. ახლა კი მეტი მოტივაცია მაქვს, ვიდრე მანამდე, ეს მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს. გაჩნდა ახალი გეგმები და იდეები, რისთვისაც კიდევ 6 წელი მექნება. დავრწმუნდი, რომ გაჩერება არ შეიძლება და ეს ყველაფერი დიდი აზარტია. გასულ წელს ავტორიზაციის რთული პროცესი გაიარა სკოლამ, ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაო გავწიეთ. ამან გამოგვჭედა და ახლის კეთების სურვილი გაგვიჩინა. ავტორიზაცია წარმატებით გავიარეთ, მაგრამ ეს პროცესი ბოლომდე არ არის მიყვანილი. შემუშავებული გვაქვს სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა და გვინდა ეს წლები მის განხორციელებას მოვახმაროთ. 2024-დან 2031 წლამდე ამ გეგმის მიხედვით ვიმუშავებთ. გვინდა საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლება დაინერგოს. ამ პროფესიების სპეციალისტები დღეს იშვიათად გვხვდება და გვინდა ხელი შევუწყოთ ამას. ჩვენი რაიონი ბიოსფერული რეზერვატის სტატუსს ატარებს, აქ მრავალფეროვანი აგროკულტურები მოდის და ვფიქრობ, მეტი საჭიროება იქნება. გვინდა, ახალგაზრდებმა მეტად აირჩიონ საბუნებისმეტყველო საგნები და ამას ხელს შევუწყობთ.



როცა ქვემო ქედის სკოლაში შემიყვანეს, დაწყებითი კლასები სხვა შენობაში იყო, იქ დავამთავრე 4 კლასი და შემდეგ გადმოვედით. პროფესიის არჩევაზე ბევრი არ მიფიქრია, მხოლოდ პედაგოგობა მინდოდა და ეს აზრი დღემდე არ შემიცვლია. დაწყებით კლასებში ჩემი პირველი მასწავლებელი იყო თამარ ქისტაური, თბილი, ყურადღებიანი და მზრუნველი ქალბატონი. საოცარი მიდგომა ჰქონდა და დღემდე განსაკუთრებულად მახსოვს. ალბათ მან განაპირობა ჩემი ამ პროფესიისადმი სიყვარული. ვფიქრობ, ყველა ბავშვის მეხსიერებაში პირველი მასწავლებელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ალბათ სწორედ მან დამაფიქრა მასწავლებლის პროფესიაზე და სხვა სფეროში საკუთარი თავი ველარც წარმომიდგენია. ქვემო ქედის სკოლის დამთავრების შემდეგ პიონერხელმძღვანელის სასწავლებელი დავამთავრე და 3 წლის მანძილზე ვმუშაობდი. შემდეგ ჩავაბარე პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. როცა სასწავლებელიც დავამთავრე, ქვემო ქედში არ იყო თვისუფალი ადგილი და ამდენად, მეზობელ სოფელში გადასვლა მომიხდა. მაშინ სოფელი ფიროსმანი ახალი ჩამოსახლებული იყო აჭარიდან და საბავშვო ბაღის გამგედ დავინიშნე. ყველაზე დიდი ბაღი იყო, 6 ჯგუფი გვქონდა და 120-ზე მეტი ბავშვი დადიოდა. წელიწადზე მეტი ამ სოფელში ვიმუშავე და შემდეგ 1989 წლიდან დავბრუნდი ქვემო ქედის სკოლაში, ჯერ გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი ვიყავი, მალევე ქართული ენა-ლიტერატურის. მას შემდეგ დღემდე უწყვეტად ვარ სკოლაში, თუ არ ჩავთვლით სადეკრეტო შვებულებებს. რაც შეეხება სასწავლო ინფრასტრუქტურას, კოსმეტიკური სამუშაოების საჭიროება დგას და პერიოდულად ცალკეულ კლასებს ვარემონტებთ ხოლმე, მაგრამ ძირითად პრობლემად დავასახელებდი შეშის ღუმელით გათბობის საკითხს. თუ თანამედროვე გათბობის სისტემით შეიცვლება, დიდი შვება იქნება ჩვენთვის. სველი წერტილებიც ახალია. საბედნიეროდ, კლასკომპლექტები არ გვაქვს და ყველა კლასი სრულყოფილად მუშაობს. თუმცა, მიგრაციის პრობლემა ჩვენს სოფელშიც მწვავედ დგას და ეს თვალშისაცემია. წელს სკოლა 7-მა მოსწავლემ დაამთავრა და სექტემბერში 9 პირველკლასელს ველოდებით. ყველა კლასში 5 მოსწავლეს მაინც ჰყავს მშობელი ემიგრაციაში, რაც იმის საფრთხეს ქმნის, რომ შვილებიც წაიყვანონ“.

**ნინო სულიაშვილი** *(გამარჯვების სკოლის დირექტორი):* „ეს არჩევნები ჩემთვის ახალი ეტაპის დასაწყისი არ არის, ესაა დაწყებული საქმის გაგრძელება. რასაც 10 წელია ვემსახურები. მყავდა კონკურენტები, მაგრამ გასაუბრების ეტაპი წარმატებით მხოლოდ მე დავძლიე, რის გამოც სამინისტრომ ისევ მე წარმადგინა. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე გასული წლის არჩევნებუის შემდეგ შეიცვალა, რადგან მისმა შვილმა სკოლა დაამთავრა და ამის გამო სხვა მშობელი, ირინა სულაშვილი აირჩიეს. ამჟამად სამეურვეო საბჭოში 7 წევრია, რომელთაგან ერთი დეკრეტშია, დანარჩენი 6 მონაწილეობდა არჩევნებში, შედეგების მიხედვით, 4 ხმა მივიღე, 2-მა თავი შეიკავა. 6 წლის ვადით მაქვს უფლება ვუხელმძღვანელო სკოლას, რომლის განვითარებაშიც დიდი შრომა ჩავდე. უფლება მაქვს ვადა ბოლომდე ამოვწურო, მაგრამ ვნახოთ რა იქნება. პროცესებს გააჩნია... თუ დავინახე, რომ ისეთი კადრი მოვა ვისი იმედიც მექნება, ვისაც შეუძლია სამართლიანად და ობიექტურად მართოს, შესაძლოა, დროზე ადრე წავიდე...



მოგეხსენებათ, გამარჯვების სკოლა პირველი იყო, რომელმაც დედოფლისწყაროში ავტორიზაციის პროცესი დაიწყო და წარმატებით გაიარა. ახლა კი მომდევნო წლებში ის უნდა შევასრულოთ, რაც ამ დროს შემუშავებული გეგმის მიხედვით დავისახეთ. ამ ეტაპზე ვიწყებთ შეფასებასა და მონიტორინგს, რა გაკეთდა, რა ვადებში შესრულდა, რა ვერ მოხერხდა და რა შედეგები გვაქვს. ჩვენი მიზანი სწორედ ეს იქნება, რომ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე და მოსწავლეებზე ვიყოთ ორიენტირებულნი. საუკეთესო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გვაქვს, კაბინეტები უმაღლეს დონეზეა აღჭურვილი, ელექტრონული რესურსებიც კარგი გვაქვს, არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ძირითადად პედაგოგების მისამართით დავალებებია“.

***ილია მარტყოფლიშვილი***

# ჰარმონიული თანაცხოვრება სოციალური ინკლუზიის დახმარებით

***საქართველოს ყველა მოქალაქისთვის განათლების ხელმისაწვდომის უზრუნველსაყოფად, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლობით, ხორციელდება პროგრამა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“. პროგრამის ამოქმედება განაპირობა იმ სამწუხარო რეალობამ, რომ საქართველოში არსებობენ სხვადასხვა სოციალური მიზეზის გამო ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი პირები (ბოშები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, რეპატრირებული პირები, ეთნიკური უმცირესობები და სხვ.), ასევე პირები, რომლებსაც სავალდებულო განათლების საფეხური არ აქვთ დასრულებული.***

პროექტის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სკოლის თანატოლებთან ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხარისხის ამაღლება. პროგრამით „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობები ერთი მხრივ ხელს უწყობს ბოშა მოზარდებში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და მათში სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებას, მეორე მხრივ, ტოლერანტული განწყობების გაზრდას და თვითშეგნების ამაღლებას მოქალაქედ ფორმირებისთვის.

სასიხარულოა, რომ ეს პროგრამა დედოფლისწყაროშიც მოქმედებს. კერძოდ, დედოფლისწყაროს ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში, სადაც ბოლო მონაცემებით 25 ბოშა მოსწავლეა. პროგრამა უკვე 4 წელია რაც სამ არაფორმალური განათლების ფარგლებში ჩამოყალიბებულ - კითხვის, მუსიკალური თერაპიისა და ხელგარჯილობის კლუბებს აერთიანებს. პროგრამის კოორდინატორები ამავე სკოლის პედაგოგები ირინე ალუღიშვილი და მეგი ყაჭაშვილი არიან. პროგრამაში ჩართულ ბავშვებთან, პედაგოგებთან და კოორდინატორებთან შეხვედრის საშუალება 19 ივნისს, სწორედ კითხვის კლუბის შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოგვეცა. დეტალურად ამ პროგრამის, განხორციელებული აქტივობებისა და შეფასებების შესახებ სტატიაში შემოგთავაზებთ.

**ლელა ცქიტიშვილი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელია,** რომელიც გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, რომ არსებული „პროგრამა მხარს უჭერს იმ ბავშვებს, თავის ბენეფიციარებს, რომლებსაც განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ, სწავლების ყველა საფეხურზე, იქნება ეს დაწყებითი, საბაზო თუ საშუალო, რათა მათ სწავლა უკვე შემდგომ კოლეჯში გააგრძელონ. შეიძლება მათ შორის იყოს ლინგვისტური პრობლემებიც. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ დამატებითი ცოდნა მივცეთ არაფორმალური განათლებით. არაფორმალური განათლებით იმიტომ, რომ შემდგომ ეტაპზე ბავშვმა შეძლოს თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა. მთავარი ისაა, რომ სკოლამ თითოეულ ბავშვში აღმოაჩინოს და გააუმჯობესოს განსხვავებული უნარები. ზუსტად ამას აკეთებს ჩვენი კლუბები. ჩვენი ბენეფიციარები არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები, რომლებსაც სხვადასხვა დახმარება ესაჭიროებათ. პროგრამაში ჩართულები არიან ქცევის პრობლემების მქონე ბავშვები, მუსლიმი მესხები, ბოშები. უპირველესად, ჩვენ მათ თანატოლების მოზიდვის შესაძლებლობას ვაძლევთ, რომ გარკვეული თემის გარშემო თავიანთი მეგობრები შემოიკრიბონ და მოხდეს მათთან სოციალიზაცია. როდესაც ლინგვისტური პრობლემების მქონეა ბავშვი, შეიძლება სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის საგნიდან ენა ისე ვერ ისწავლოს, როგორც ადგილობრივ ქართველ ბავშვებთან ურთიერთობით შეძლოს აზრის გამოტანა. მთავარია, საერთო აზრი გააჩნდეთ, ანუ განსხვავებები კი არ ეძებონ ამ ბავშვებმა ერთმანეთში, ეძებონ მსგავსებები და მაქსიმალურად ჰარმონიულად შეძლონ თანაცხოვრება.

***-რას ღონისძიებები ტარდება ამ შედეგებამდე მისასვლელად?***

სკოლებისთვის შეთავაზებულია არაფორმალური განათლება, რაც გულისხმობს შემდეგს: სკოლებში, რომლებშიც ვიცით რომ ბოშა მოსწავლეები სწავლობენ, კიდევ დამატებით აქვთ კლუბების ჩამოყალიბების შესაძლებლობა მათივე ინტერესიდან გამომდინარე. ზოგან არის კითხვის კლუბი, ზოგან მხატვრული კითხვის კლუბი, ზოგან ეს ყველაფერი დებატებად გადაიქცევა და კამათობენ ამა თუ იმ ნაწარმოებზე ან საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე. გვაქვს სპორტისა და ხელსაქმის კლუბებიც.

***-რამდენი წელია და როგორ ხორციელდება ეს პროექტი დედოფლისწყაროში?***

ჩვენ დედოფლისწყაროში, კერძოდ ხორნაბუჯის სკოლაში განვითარებულ მოვლენებზე უნდა ვისაუბროთ. ოთხი წელია ჩვენ ამ სკოლაში ვახორციელებთ პროექტს ადგილობრივი კოორდინატორების - ირინე ალუღიშვილის და მეგი ყაჭაშვილის დახმარებითა და აქტიური ჩართულობით. აღსანიშნავი და ხაზგასასმელია, რომ მათ ჩვენამდეც, ბოშებთან მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ დასაწყისისთვის, ბავშვებს ელემენტარული უნარები უკვე გამომუშავებული ჰქონდათ, ჩვენ დრო აღარ დაგვიხარჯავს და პირდაპირ სწავლების პროცესზე გადავედით. ამავდროულად, მნიშვნელოვანია დირექტორის კეთილი ნება, რათა პროგრამამ იმუშაოს. აქამდე ვთანამშრომლობდით სკოლის წინა ხელმძღვანელთან. მიუხედავად იმისა, რომ ახლა შეიცვალა დირექტორი, ის ძალიან კეთილგანწყობილია და მოხარულები ვართ, რომ ამ პროგრამის მიზნებს ზუსტად იზიარებს და აგრძელებს ჩვენთან თანამშრომლობას. მადლობა კოორდინატორებს, რომ ჩვენს ყველა თხოვნასა თუ ინიციატივას მხარს უჭერენ, რაც ადგილზე მუშაობაში ძალიან გვეხმარება. რაც შეეხება უშუალოდ პროცესს. ჩვენი გაკვეთილები არის დისტანციური. გვყავს მოწვეული პედაგოგები, მაგალითად, გიგა აბულაძე, ცნობილი მსახიობი, რომელიც მხატვრული კითხვის კლუბის მასწავლებელია. ის სთავაზობს პროგრამულად შედგენილ ლექსებს. გვაქვს საუბრები, გარჩევა. იცით რომ ერთ-ერთი პრობლემა წაკითხულიდან შინაარსის გამოტანაა და სწორედ, ამაზე ვმუშაობთ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ სკოლაში გვყავს ბოშები და სახელმწიფო ენის ცოდნა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც შეიძლება ენის უცოდინრობამ საზოგადოებიდანაც კი მოწყვიტოს ბავშვი, იმიტომ რომ საერთო ენა ვერ იპოვნონ თანატოლებთან, ვერ გააზიარონ თავიანთი აზრები. მეოთხე წელია იცვლება ინფორმაცია, იწერება შთაბეჭდილებები, გიგა მასწავლებელი მსახიობია, თავის გამოცდილებას ბავშვებს უზიარებს და არ ეზარება რომ იყოს ჩართული მთელი გულით, სხეულით. ამიტომაც არის ზუსტად ასეთი უკუკავშირი, ბავშვებს სხვანაირად უყვართ ის. ეს უკვე ძალიან დიდი შედეგია, ზუსტად ესაა სოციალიზაცია, როცა ბოშა ბავშვებს, თუნდაც უცხო მასწავლებელი, უცხო წარმომადგენლები უხარიათ. გვყავს ასევე მუსიკალური თერაპიის მასწავლებელიც - კომპოზიტორი თეა ჯინორიაც, რომელმაც მუსიკალურ სამყაროში სულ სხვა ჰორიზონტი გადაუშალა ბავშვებს.

***-აქამდე თუ შეხვედრიხართ ერთმანეთს რეალურ სივრცეში?***

ჩვენ აქამდე ნამყოფები ვართ სკოლაშიც. ასეთი გასვლითი შეხვედრა ძალიან აახლოებს ბავშვებს უფროსებთან. აქ არავინ უფროსობს. ყველანი მეგობრები ვართ, ვცდილობთ, თბილი გარემო შევუქმნათ მათ. ბავშვებისთვის პირველი ტრენინგია, რათა შეძლონ წყვილებში თუ გუნდური მუშაობა, პრეზენტაციების წარდგენა და სხვისთვის გაზიარება.

***-რა იყო ამ ვიზიტის მთავარი მოტივი?***

ჩვენი პროგრამა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს მოიცავს. ყველაზე მნიშვნელოვანი რისთვისაც ჩამოვედით, ეს გამოცდილების გაზიარებაა. გვინდოდა, გაგვეზიარებინა დანარჩენი რეგიონების გამოცდილება, როგორ სწავლობენ სხვა ბოშები სკოლამდელ დაწესებულებაში და როგორი მნიშვნელოვანია, რომ იყვნენ საბავშვო ბაღებშიც, რადგან ზუსტად ბაღებში ხდება სოციალიზაციის საფუძვლების ჩაყრა თავიანთ თანატოლებთან. აუცილებელია სახელმწიფო ენის სწორედ ადრეული ასაკიდან იმ დონეზე განვითარება, რომ სასკოლო პროგრამის დასაძლევად მზაობა იყოს. ხშირი შემთხვევებია, როცა თავისი ასაკის შესაბამის კლასში არ არიან ბავშვები, იმიტომ რომ ვერ ძლევენ პროგრამას, მიზეზი კი ენის არ ცოდნაა. ჩვენ ზუსტად ის გამოცდილება გავუზიარეთ, თუ როგორ ხდება დასავლეთ საქართველოში, ზუგდიდში, ქობულეთში, თუ თბილისში მუშაობა, როგორ ხდება ტრანზიციის ხელშეწყობა. ტრანზიცია პროცესია, როდესაც სკოლიდან მაგალითად კოლეჯში გადაგვყავს ბავშვი, მაშინ, როდესაც მშობელს არ შეუძლია მხარდაჭერა და ამ ფუნქციას ვინაწილებთ მე და გოგიტა ვარდოსანიძე, პროგრამის ტექნიკური მენეჯერი. შეიძლება სოციალური მუშაკებიც ჩაერთონ ახლა უკვე ამ პროცესში. გვქონდა შემთხვევა, თუ როგორ განაგრძეს ბოშა ბავშვებმა კოლეჯში სწავლა პროფესიის დაუფლებისთვის. ეს არ იყო მარტო პროფესიის დაუფლება, ეს არის მომავალში თვითრეალიზების ხელშეწყობაც. იყო ასეთი პრეცედენტიც, რომ ბოშა გოგონამ ჩვენი პროგრამის კურსდამთარებულმა,



შეძლო უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება. ზუსტად ამ გამოცდილებაზე გავამახვილეთ ყურადღება, თუ როგორ შეძლო იმ გოგონამ, როგორ მოინდომა და მიაღწია მიზანს. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი წარმატებაა, რადგან ამ ერთმა შემთხვევამ მთლიანად კანონის ცვლილებას შეუწყო ხელი. შედეგად, სამინისტროს აქვს პროგრამა „სოციალური დახმარება სტუდენტებისთვის“, სადაც ჩამონათვალია, თუ ვის ეკუთვნის სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა. ამის შედეგად, ყოველწლიურად ორ ბოშას სამინისტრო ფინანსურ მხარდაჭერას უცხადებს. აქედან მოდის სწორედ მოტივაცია, როდესაც ერთი შემთხვევიდან შეიძლება ძალიან საინტერესო შედეგები მივიღოთ და დიდ მასშტაბზე ვიმუშაოთ.

***-ამ პროგრამას მოხალისეები თუ ჰყავს?***

დიახ, გვყავს გადამზადებული მოხალისეები - ადგილობრივი სკოლების კარგი მოსწავლეები. ისინი როლური მოდელები და კარგი მაგალითები არიან, რათა ბოშა ბავშვებმა მეტი მხარდაჭერა იგრძნონ, ჰქონდეთ სწავლის მაღალი მოტივაცია.

***-როგორია მშობლების მხარდაჭერა?***

მშობლებამდეც მივიტანეთ ინფორმაცია, როგორი საჭიროა სწავლაში ინვესტიციის ჩადება. იმისთვის, რომ მომავალში განათლებულ თაობას ჰქონდეს პროფესია და ამ პროფესიით გამოიმუშავონ ღირსეული ანაზღაურება. ვესაუბრეთ, მოისმინეს, გაიაზრეს. შედეგად, რამდენიმე ბავშვმა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების სურვილიც გამოთქვა. ამ ბავშვების ოჯახებიდან ძალიან დიდ მხარდაჭერას ვიღებდით, იმიტომ რომ ისინი ინფორმაციულ ვაკუუმში არ ვამყოფეთ. ისინი ვალდებულებიც იყვნენ, ნათესავებში გაევრცელებინათ ამ პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

***-ამ პროგრამაში რამდენი ბავშვია ჩართული დედოფლისწყაროდან?***

ამ ეტაპზე ჩართულია 14 მოსწავლე, რომელთა შორის 9 ბოშაა. ძირითადად, მაღალი კლასის მოსწავლეები არიან ჩართულნი კითხვის კლუბში, რადგან მასწავლებელი ლექსს როდესაც მისცემს დავალებად, ბავშვმა სწორად უნდა წაიკითხოს, მასზე პრეზენტაცია წარმოადგინოს. ეს კი პატარა ასაკის ბავშვს არ გამოუვა. თუმცა, შეგვიძლია ისინი ხელგარჯილობის კლუბში ჩავრთოთ, სადაც გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკებს სწავლობენ, მუს.თერაპიაში მიიღონ მონაწილეობა, სადაც იმღერებენ როგორც ქართულ, ასევე ბოშურ სიმღერებს. ქართული სიმღერების შეთავაზება ძალიან მნიშვნელოვანია, ქართული ხასიათის, სიტყვების, ენის შესწავლის მიზნით. და პირიქით, ჩვენც ვისწავლეთ ბოშური სიმღერები და სიტყვები. ძალიან უხაროდათ სიმღერის გაკვეთილები, რადგან ეს, ფაქტობრივად, ერთმანეთის კულტურების უკეთ გაცნობაა. პლუს ამას, გვსურდა ის ცნობილი ბოშა ადამიანებიც გაგვეცნო მათთვის, ვისაც როგორც პიროვნებებს მსოფლიო ძალიან კარგად, მაგრამ მათ წარმომავლობას თითქმის არავინ იცნობს. მაგალითისთვის ბოშები იყვნენ: ჩარლი ჩაპლინი, ელვის პრესლი, იბრაგიმოვიჩი. გვინდა, ამ მაგალითების ჩვენებით მათ მხრებში გასწორება და თავიანთი წარმომავლის სიყვარული კიდევ უფრო გავუძლიეროთ.

ქალბატონმა ლელამ ასევე აღნიშნა, რომ სამინისტრო რომელიმე ქვეყნის მოდელით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ მხოლოდ საკუთარი ქვეყნის პრაქტიკას და გამოცდილებას ეყრდნობა. მან ასევე ყურადღება გაამახვილა პროგრამის მუშაობას შშმ პირებთან: „ჩვენ არ ვმუშაობთ რომელიმე ქვეყნის პროგრამის მიხედვით. პრაქტიკულად, არავინ არ იცოდა ბოშების შესახებ, მაშინ როდესაც ჩვენ 2009 წელს ამ პროგრამის შემუშავება დავიწყეთ. მას შემდეგ დაგროვდა სწორედ სხვადასხვა შემთხვევებიდან მიღებული გამოცდილება. დღესდღეობით, ჩვენ ზუსტად ვიცით გვარები, ვინ არიან ბოშები და ვინ არიან მოლდოველები. შევქმენით მონაცემთა ბაზა, რომელსაც პერიოდულად ვანახლებთ და ამ მონაცემთა ბაზით შემდეგ სარგებლობს სხვადასხვა ინსტიტუციები ვინც ბოშათა ჯგუფზე მუშაობით ინტერესდება. ჩვენ გვაქვს პროგრამაში ისეთი შეხვედრები, სადაც დასავლეთის და აღმოსავლეთის ბოშებს ვახვედრებთ და ისინი საუბრობენ, თუნდაც ერთი და იგივე ტრადიცია როგორ ვითარდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ამ პროგრამის ყველაზე დიდი შედეგი იყო ის, რომ პანდემიის პერიოდში როდესაც ყველაფერი დაიხურა, ჩვენ გვყავდა გადამზადებული ბოშა ახალგაზრდები, რომლებმაც თვითონ დაარიგეს საჭირო ნივთები სახლებში. მაშინ, როდესაც ვერავინ შედიოდა ოჯახებში, თვითონ მოზარდებმა გამოიჩინეს ინიციატივა. ასევე გვაქვს შშმ პირებთან მუშაობის პრაქტიკა და გამოცდილება. გვყავს ეტლით მოსარგებლე ბენეფიციარები, რომელთან მუშაობაც ისევე ხორციელდება, როგორც სხვა ყველა დანარჩენთან. პროგრამა ადაპტირებულია და მაქსიმალურადაა ყველას შესაძლებლობაზე მორგებული“.

პროგრამის ხელმძღვანელი და პროექტის ტექნიკური მენეჯერი გოგიტა ვარდოსანიძე, ერთხმად აღნიშნავდნენ, ბავშვების დაუზარელ ხასიათს. სკოლის დავალებების სიმრავლის მიუხედავად, ისინი მუდმივად ამზადებდნენ ლექსებს და სწავლობდნენ მათთვის ლექსში წარმოდგენილ უცხო, ქართულ სიტყვებს. როგორც თვითონ აღნიშნავენ, ლექსების სწავლა მათ ქართული სიტყვების შესწავლაში უკეთ ეხმარებოდა: „ეს მათი მხრიდან ერთგვარი სირთულის დაძლევა იყო, რადგან ასე გამართულად ისწავლო ქართული ლექსები, როდესაც მანამდე ელემენტრულად ჯდომისა და მოსმენის რუტინა რთულად დასასწავლი იყო მათთვის, ვფიქრობთ, დიდი წინსვლაა. ამ ეტაპისთვის ჩამოყალიბებული გვაქვს სამი: მხატვრულად კითხვის, მუსიკალური თერაპიისა და ხელგარჯილობის კლუბი. სამივე მათგანში აქტიურად არიან ჩვენი ბენეფიციარები ჩართულნი“.

**ლელა ცქიტიშვილი:** „საქართველოში ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაცია უნდა მოხდეს. თუმცა, საქმე ის კი არაა, ეთნიკური უმცირესობა რომ არ ერთვება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხშირად პრობლემა ისაა, რომ ის კი ერთვება ყველაფერში, მაგრამ ძალიან ხშირად ადგილობრივებს არა გვაქვს მიმღებლობა. ამიტომ ჩვენ კიდევ ერთი მიმართულებით ვმუშაობთ, რომელიც საჯარო სკოლებში, მასწავლებლებთან თუ მშობლებთან აქტიურ ინფორმაციულ მუშაობას გულისხმობს. გარდა იმისა, რომ ბოშები სწავლობენ ქართულს და ქართულ კულტურას, ჩვენც ვსწავლობთ ბოშურ კულტურას, რადგან ეს ერთგვარი კულტურულ ტრადიციათა გაცვლაა. თბილისში ერთ-ერთ საბავშვო ბაღში გვქონდა შემთხვევა, როდესაც მშობლებმა უარი თქვეს შვილების იმ ბაღში მიყვანაზე, სადაც ბოშებსაც უნდა ევლოთ. ჩვენ მთელი კონფერენცია მივუძღვენით იმ მშობლებს, რომ მათ მიმღებლობა ჰქონოდათ და შვილები ბაღში მიეყვანათ. ძალიან მალე, ხუთი დღის შემდეგ, ყველაფერი ნორმაში ჩადგა, რადგან მათ სწორად მიეწოდათ ინფორმაცია ამ ეთნიკურ ჯგუფზე. სწორედ ამაში უნდა დავეხმაროთ საზოგადოებას, რომ ინფორმაციის ნაკლებობამ ხელი არ შეუშალოს მათ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. ინფორმაციის გაცვლით ადამიანების თვითშეგნება გავზარდეთ. აქ დამსწრე ბავშვებმა გამოთქვეს სურვილი, რომ თვითონ სხვებს გადასცენ მათში არსებული ცოდნა. ეს ძალიან სასიხარულოა“.

**თამუნა ქეთელაური, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორი:** „მთელს სკოლაში სულ 25 ბოშა გვყავს, პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით. მეცხრედან ზემოთ უკვე აღარ. დაწყებითებიდან შემოდიან. ზოგ კლასში 5-6 ბოშაა უკვე. მშობლები ინფორმირებულები არიან, რომ სკოლაში უნდა შემოიყვანონ ბავშვები. ვაწვდით ინფორმაციას, რომ იწყება პირველკლასელების რეგისტრაცია და დარეგისტრირდნენ. ბაღს ტერიტორიულად მოშორებულები არიან, მაგრამ ახლა მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნის შემდეგ, ეს პრობლემაც ნელ ნელა მოგვარდება. რაც შეეხება სკოლას. სკოლას ემსახურება განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი კერძო ტრანსპორტი, რომელსაც გადაჰყავს მოსწავლეები და მასწავლებლები. არც ერთი ბავშვი ფეხით არ დადის. დასწრებაც მაღალი აქვთ ამ ბავშვებს“.

*/გაგრძელება გვ.8/*

# ერთად ყოფნა უდრის სიჯანსაღეს

**მედიცინასა და სოციალურ მეცნიერებებში სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს მოსაზრება, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის დადებითი სოციალური ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სოციალური მდგომარეობა. ერთი შეხედვით, საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენლებს ავადმყოფობა თითქოს უფრო მეტად უნდა ემუქრებოდეს, ვიდრე პრივილეგირებული სოციალური ფენების წევრებს, . მაგრამ უკანასკნელ წლებში სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ არა აქვს მნიშვნელობა, რომელ სოციალურ ჯგუფს ეკუთვნის ადამიანი. ყველაზე დიდ რისკის ჯგუფს ყველანაირი ავადმყოფობის მიმართ ქმნიან ქვრივები, სოციალურად იზოლირებული ან დაძაბული ურთიერთობების მქონე პირები.**

სოციალური და ემოციური მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ფაქტორია გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების წინააღმდეგ, რომლებიც დასავლეთის ინდუსტრიულ საზოგადოებაში სიკვდილის ყველაზე ხშირი მიზეზია. სწორედ ამ დაავადებათა წინააღმდეგ საუკეთესო დამცავ ფაქტორად არის მიჩნეული დადებითი სოციალური ურთიერთობები. კვლევის მონაცემების თანახმად დადებითი პარტნიორული ურთიერთობების მქონე ადამიანებს ხუთჯერ უფრო იშვიათად ემართებათ ინფარქტი, ვიდრე მარტოხელებს. დადებითი სოციალური ურთიერთობები განსაკუთრებით კარგად ქალებზე მოქმედებს- ყველაზე ნაკლებად ავად გახდომის საფრთხე იმ ქალებს ემუქრება, ვისაც ჰარმონიული პირადი ურთიერთობები და სამსახურში დადებითი სოციალური კონტაქტები აქვთ და პირიქით,შუახნის მარტოხელა კაცები ყველაზე ძლიერ რისკ-ჯგუფებს ქმნიან.

გამოიკვეთა აგრეთვე ემოციური და სოციალური ურთიერთობების მნიშვნელობა გამოჯანმრთელებისთვის, რაც კლასიკურ მედიცინაში ბოლო ხანებამდე გათვალისწინებული არ ყოფილა. იმ პაციენტებშიც, რომლებიც თავიანთ ურთიერთობებს უარყოფითად აფასებდნენ, სიკვდილის რისკი ორჯერ უფრო მაღალი იყო , ვიდრე დადებითი სოციალური ურთიერთობების მქონე პირებთან.

დადებითი ურთიერთობების მკურნავი ძალა სხვა სფეროშიც იჩენს თავს, კერძოდ ექიმ-პაციენტის ურთიერთობაშიც ირკვევა, რომ ამ ურთიერთობათა ხარისხს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სამედიცინო თუ მედიკამენტურ მკურნალობას.

თუ რამდენად უწყობს ხელს გამოჯანმრთელებას ამ ურთიერთობის პროცესში ექიმის მხარდაჭერა და ზრუნვა, ამას ამტკიცებენ კიბოსა და გულის დაავადებებისგან განკურნების შემთხვევები. ასე მაგალითად, მკერდის კიბოთი დაავადებული პაციენტები, რომლების სამედიცინო მკურნალობასთან ერთად ფსიქოთერაპიულ დახმარებასაც იღებენ, არა მარტო სუბიექტურად გრძნობენ თავს უკეთ, ვიდრე ავადმყოფები, რომლებიც მხოლოდ სამედიცინო მეთოდებით მკურნალობენ, არამედ საშუალოდ ორ წელზე უფრო მეტ ხანს ცხოვრობენ.

ის კი არა, წმინდა სხეულებრივი ტრავმების შემთხვევაშიც სამედიცინო მკურნალობა და ფსიქოლოგიური დახმარება ერთად- შესამჩნევად უფრო ეფექტურია, ვიდრე მარტო სამედიცინო.

ადამიანთა შორის ნდობის მკურნავი ძალა ჩანს კიდევ ერთ უცნაურ მოვლენაში. ასე მაგალითად, დასავლეთის ქვეყნებში გამოწერილი წამლების სულ ცოტა 50 პროცენტი არის პლაცებო-არა ნამდვილი წამალი, რომელიც შესაბამის სიმპტომატიკაზე ქიმიურად ზემოქმედებს, არამედ უბრალო შაქრის ტაბლეტები. ეს ტაბლეტები ფსიქოლოგიური მიზეზებით გამოწვეულ წნევას არეგულირებენ, ათავისუფლებს ადამიანს შიშისგან, პანიკისაგან და ა. შ. სწორედ ამიტომ პლაცებო საკმაოდ გავრცელებული სამკურნალო საშუალებაა, რომელიც თითქმის ყველანაირი დაავადების დროს: ალერგიის, კუჭის წყლულის, რევმატიზმის და სხვა შემთხვევებში მოქმედებს. უახლესი ამერიკული გამოკვლევის თანახმად ავადმყოფთა სამი მეოთხედი ძალიან კარგად რეაგირებს ამ სახის ტაბლეტებით მკურნალობაზე. პლაცებოს ზემოქმედება აიხსნება ვითომ-მედიკამენტის ეფექტურობის რწმენით. ისიც დადგენილია, რომ წამალს სამკურნალო ზემოქმედება მხოლოდ მაშინ აქვს, როცა პაციენტი მკურნალ ექიმს ენდობა; როცა ექიმი მას მხარდაჭერის, დახმარების და ზრუნვის განცდას ანიჭებს. ასეთ შემთხვევაში გამოწერილი წამალი გამხნევებისა და ზრუნვის სიმბოლოდ იქცევა. პლაცებო მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა ექიმ-პაციენტის ურთიერთობა რიგზეა.

***ბესიკ გიგოლაშვილი***

**ფსიქოლოგი**

# საინტერესო შეხვედრები ქვემო ქედის სკოლაში



ქვემო ქედის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა და კლასის ხელმძღვანელებმა ნათია წიკლაურმა და გვანცა მამუკაშვილმა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების რეინჯერთა სამსახურის უფროსს ვაჟა ჩერქეზიშვილსა და ქურციკების მონიტორინგის ექსპერტს ვაჟიკო ყოჩიაშვილს უმასპინძლეს.

სტუმრებმა საინტერესო და შთამბეჭდავი პრეზენტაციით მასპინძლების განსაკუთრებული პატივისცემა დაიმსახურეს. შეხვედრა გათვლილი იყო მდგრადი განვითარების მე–15 მიზნის განხორციელებაზე, რაც გულისხმობს ეკოსისტემების კანონზომიერ განვითარებას და ხელშეწყობას.

ამას გარდა, ქვემო ქედის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები და მასწავლებლები მდგრადი განვითარების 17 მიზნის განხორციელების ფარგლებში ესწრებოდნენ ფერმერთა ასოციაციის ფორუმს.

„დილიჩის, ვაშლოვანისა და შავი მთის მიმდებარე ტერიტორიაზე კომპეტენტური ადამიანებისაგან მოსწავლეები გაეცნენ: სიღარიბის დაძლევის მიზნით მარცვლეული კულტურების მოყვანის უახლეს მეთოდებს, დაათვალიერეს მშობლიური გარემო, რაც ეროვნულ – პატრიოტული გრძნობების გაღრმავებას და ამასთანავე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უზრუნველყოფს. მადლობა ბატონ ნიკოლოზ ბენიაიძეს ამ აქტივობის განხორციელებაში შეტანილი წვლილისათვის!,“ – ამბობენ ქვემო ქედის სკოლაში.



# საქართველოს პირველობა კიკბოქსინგში

ივნისში, საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, გაიმართა 2024 წლის საქართველოს 31-ე ჩემპიონატი კიკბოქსინგში. საქართველოს ჩემპიონატზე მონაწილეობდნენ სპორტსმენები ქვეყნის ყველა რეგიონიდან, მათ შორის დედოფლისწყაროს კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის გუნდი „ჩემპიონი“ (მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი).



ორდღიანი უშელავათო ორთაბრძოლების შემდეგ, გამოვლინდნენ 2024 წლის საქართველოს ჩემპიონები დედოფლისწყაროდან. პირველი ადგილი დაიკავეს: **ნიკა მუსაელიანმა, ლაშა ჭუბაბრიამ, ნიკა თარალაშვილმა** და **გიორგი გულაშვილმა.**

II ადგილი – **მარიამ ჩაჩანიძემ, რამაზ უსუფაშვილმა, ლაშა ლეკაშვილმა** და **ვალერ ყოჩიაშვილმა.**

III ადგილი – **არჩილ წიკლაურმა, ლუკა ტუმასიანმა, ილია გოგიჩაიშვილმა** და **გიორგი ბაღდასარიანმა.**

**ნიკოლოზ თარალაშვილი** ***(გამარჯვებული):*** „საქართველოს ჩემპიონატზე ორი ბრძოლა ჩავატარე. ნახევარფინალში დავუპირისპირდი ბოლნისის წარმომადგენელს, სადაც გამარჯვება მოვიპოვე ქულებით, ხოლო ფინალურ ორთაბრძოლაში შემხვდა თბილისის წარმომადგენელი საკმაოდ გამოცდილი სპორტსმენი. მას დიდი გამოცდილება აქვს სხვადასხვა ორთაბრძოლებში, როგორც სამოყვარულო, ისე პროფესიონალურ სპორტში, თუმცა, ჩემი მონდომებით, აქაც შევძელი გამარჯვება და პირველი ადგილი დავიკავე. სამომავლოდ ისევ ენერგიულად ვაგრძელებ მომზადებას“.

„საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში ვარ, მაგრამ ხელმძღვანელობა ხელს მიწყობს და ცდილობენ, ამგვარ შეჯიბრებზე მონაწილეობის მისაღებად დამითხოვენ ხოლმე. ეს ჩემთვის უკვე საქართველოს ჩემპიონის მეორე ტიტულია. არ მინდა ჩამოვრჩე და სამხედრო ნაწილის სპორტულ დარბაზში თავისუფალ დროს ყოველთვის ვცდილობ ვივარჯიშო და ფორმაში ვიყო. რა თქმა უნდა ვაპირებ ამ სახეობაში გაგრძელებას და სამომავლო მიზნებსა და ოცნებებს რაც შეეხება, მეც როგორც ყველა სპორტსმენს მსოფლიო ჩემპიონატს ვუმიზნებ და შემდეგ ოლიმპიადა. ასევე მრავალი სხვა გამარჯვება,“ – ამბობს გიორგი გულაშვილი.

როგორც კლუბ „ჩემპიონში“ „შირაქს“ განუცხადეს, აღნიშნულ საქართველოს ჩემპიონატზე ჩამოყალიბდა ნაკრები გუნდი, რომელიც წლის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა საერთაშორისო ჩემპიონატებზე.

***ილია მარტყოფლიშვილი***



# ჰარმონიული თანაცხოვრება სოციალური ინკლუზიის დახმარებით

/დასაწყისი გვ.6/

**გიგა აბულაძე, მსახიობი და პედაგოგია,** რომელიც ბავშვებს კითხვის კლუბში ხელმძღვანელობს. სწორედ მისი და ბავშვების დაუღალავი შრომისა და მოტივაციის შედეგი იყო ის წარდგენა, რაც მოვისმინეთ: გამართულად, ხმამაღლა, გარკვევით წარმოთქმული ქართველი კლასიკოსები და თანამედროვე პოეტების ლექსები. იმდენად თავისუფლები იყვნენ ბავშვები მათ წარდგენებში, რომ ბევრს ხელმეორედ გამოსვლის და წაკითხვის სურვილი გაუჩნდა. პროცესში პედაგოგისგან პატარა მასტერკლასიც ვიხილეთ, რამაც კიდევ მეტად დაგვარწმუნა, რომ სწორად შერჩეული, მომზადებული და რაც მთავარია, ბავშვების მიმართ სითბოთი და სიყვარულით სავსე პედაგოგი დიდი მიღწევების საფუძველია.

**გიგა აბულაძე:** „ძალიან კარგი ბავშვები არიან. ყველა ძალიან მოტივირებული იყო ამ ხნის განმავლობაში. ვეცადეთ ქართველ კლასიკოსებთან ერთად, შეგვერჩია თანამედროვე პოეზიისა თუ პროზის წარმომადგენლები, რომლებსაც ყველა ერთდროულად გაარჩევდა და ერთმანეთს თავიანთ აზრებს გაუზიარებდნენ. გარდა ამისა, ენის უკეთ ათვისების მიზნით, ენის გასატეხებსაც ვურთავდით სამუშაო პროცესში, რამაც ბგერების სწორად გამოთქმაზე დიდი გავლენა იქონია. უნდა გამოვეხმაურო შშმ პირებთან პროგრამის მუშაობას. ჩვენ სპეციალურად ვართ გადამზადებულები, რომ შშმ პირებთან ინდივიდუალურად გვქონდეს შეხვედრები და ინდივიდუალურად დავეხმაროთ ახალი უნარების აღმოჩენაში, თუ ვის რა შესაძლებლობები აქვს და ამის მიხედვით შემდეგ უკვე სხვადასხვა საფეხურზე ავიყვანოთ. როდესაც პროგრამის ხელმძღვანელთან გვქონდა საუბარი, ის ყოველთვის განსაკუთრებულად ხაზს უსვამდა და მნიშვნელობას ანიჭებდა ამ მიმართულებით პროგრამის მუშაობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ყველასთავის, რაც ძალიან მახარებს. გარდა ამისა, აუცილებლად, მსურს მადლობა ვუთხრა ადგილობრივ კოორდინატორებს, ძლიერ პედაგოგებს მათი შრომისა და იმ ენერგიისთვის, რომელსაც ისინი ამ პროგრამაში იჩენდნენ. მათი დიდი დამსახურებაა თითოეული ბავშვის ასეთი წარმატება“.

გარდა კითხვის კლუბის შემაჯამებელი შეხვედრისა, საშუალება გვქონდა მუსიკალური თერაპიის ფარგლებში ნასწავლი და დამუშავებული ნაწარმოებებიც მოგვესმინა. ეს იყო ქართული სიმღერების პოპური, რომელსაც ჩვენ ქართველი საზოგადოება ძალიან კარგად ვიცნობთ, მაგრამ ისინი არც თუ ისე მარტივი შესასრულებელია მათთვის, ვინც ენის ათვისებას ახლა ცდილობს. საოცარი შესრულება, მელოდიურობა, რიტმის შეგრძნება და ერთი სიმღერიდან მეორეზე ჰარმონიული გადასვლა, მუსიკალური თერაპიის კლუბის მუშაობის დიდ შედეგზე მიუთითებდა. წარმოვიდგინეთ ეს ბავშვები სცენაზე, დიდი მაყურებლის წინაშე, წელში გამართულები, ამაყად, ქართულად ამღერებულები, როგორ შეაყვარებდნენ თავს ყველას. რომ მოგესმინათ ეს შესრულება, თქვენც ტანში ჟრუანტელი დაგივლიდათ. იმის გააზრება თუ რა დიდი შრომა დევს ამ ყველაფრის უკან, უფრო მეტად გვარწმუნებს არაფორმალური განათლების აუცილებლობაზე, იმაზე, თუ რატომ უნდა ჰქონდეთ ამ ბავშვებს განათლების მიღების მეორე შანსი, სოციალური ინკლუზიით.

ბოლოს სწორედ მათი და პედაგოგების შეფასებას გიტოვებთ, რომელიც სათქმელს ჩვენზე უკეთ ამბობს:

**ირინე ალუღიშვილი, პედაგოგი, კოორდინატორი:** „სკოლაში 4 წლის წინ, 2020 წელს შემოვიდა ეს პროგრამა და ჩავერთეთ. თავიდან უცხო იყო ასეთი შემოთავაზება - გაკვეთილები ონლაინ, კითხვის კლუბი და მუს.თერაპია. კითხვის კლუბში კითხულობდნენ და მსჯელობდნენ. თავდაპირველად, ბოშებისთვის იყო ეს შეთავაზება, მაგრამ მერე მათი კლასელებიც აქტიურად ჩაერთვნენ, აინტერესებდათ სად ატარებდნენ დროს ეს ბავშვები. ჩვენი სკოლაში რუსული სექტორიცაა და ამიტომ სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები გვყავს, შესაბამისად ყველა განსხვავებულია. კვირაში ორჯერ გვიტარდებოდა გაკვეთილები. თავიდან მორცხვობდნენ, მაგრამ შემდეგ უკვე დიდი მოლოდინით უცდიდნენ ბავშვები. სკოლამ იცოდა ჩვენი ონლაინ პროგრამის შესახებ. მშობლებმაც მოისმინეს რასაც ვაკეთებდით, ისინიც გვყავდა ჩართული და სხვებსაც აცნობდნენ ამ პროგრამის შესახებ ინფორმაციას. პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებიც ჩატარდა და თვითონ დაინახეს შედეგები. არაფორმალურმა სწავლებამ დადებითად იმოქმედა სასწავლო პროცესზე. შემდეგ, ამ გაკვეთილებიდან მიღებულ ცოდნას იყენებდნენ. თითქოს აუცილებელიც გახდა ასეთი მუშაობა. წელს დაგვემატა ხელგარჯილობის კლუბიც. თავისი ხელითა და წარმოსახვით ქმნიან ნამუშევრებს. ამჯერად მუშაობს სამი კლუბი, რაც ამ კონკრეტული ეტაპისთვის საკმარისია. გასვლითი ღონისძიებები, ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, რომლის დროსაც თავისივე წარმომავლობის ადამიანებს შეხვდებოდნენ“.

**მეგი ყაჭაშვილი, პედაგოგი, კოორდინატორი:** „ყველა ბავშვმა ზეპირად იცის უკვე არჩეული ლექსები. იმდენად გაითავისეს, რომ ჩახედვაც კი აღარ სჭირდებათ. პროგრამამ ძალიან კარგად იმუშავა. ეს ფაქტია. აქამდე თუ უჭირდათ გადმოცემა, ანალიზი, ახლა წარმოიდგინეთ, რუსულ სექტორზე სწავლობენ, რუსულად აზროვნებენ, მაგრამ პარალელურად ქართულ ენას სწავლობენ და ქართულად გადმოსცემენ აზრს. ეს ძალიან კარგი და დროული შედეგია“.



**პეტრე პროშევი:** „თავიდან მიჭირდა, მაგრამ მერე ძალიან გამიადვილდა კითხვის კლუბში ჩემი აზრების გადმოცემა. მომწონს გიგა მასწავლებელი ლექსის კითხვას როგორ მასწავლის.“

**სნეჟანა იონენკო:** „4 წელია ჩართული ვარ სოციალური ინკლუზიის პროგრამაში. მუსიკალური თერაპია და კითხვის კლუბი ძალიან მომწონს. მინდა, რომ ცოდნა რომელიც გადმომეცა, სხვა ბავშვებსაც გადავცე. მიყვარდა სიმღერა, მაგრამ არ გამომდიოდა. მუს.თერაპიაზე კი, ვფიქრობ, გამომივიდა. კითხვის კლუბში ვკითხულობთ ლექსებს, მოთხრობებს. მომეწონა ის გარემო, სადაც განათლება მივიღე. ვგრძნობ, რომ კიდევ ბევრს ვისწავლი. ქართული ენაც ვისწავლე. ძალიან მიჭირდა ქართულად ლაპარაკი და ამ პროგრამის დამსახურებით უკვე კარგად გამომდის. პირველად მამას და დედას, რომ ვუთხარი, მამას ძალიან გაუხარდა, ასე მითხრა, უფრო განათლებული უნდა იყო მუსიკაშიც და ქართულშიცო“.

**გრიშა პროშევი:** „თავიდან ირინე მასწავლებელმა გვითხრა ამ პროგრამის შესახებ. ცოტა გამიკვირდა, როცა გვითხრა ჩვენი სკოლის კი არა, თბილისიდან სხვა მასწავლებლები გაკვეთილებს ჩაგიტარებენ დისტნაციურადო. სიამოვნებით ჩავერთე. სახლშიც მითხრეს, ისწავლე კარგად, არ გახვიდე ამ პროგრამიდანო. კითხვის გაკვეთილებს რომ გვიტარებდნენ, მერე ჩვენს აზრებს გვეკითხებოდნენ. ხან კითხვებს გვისვამდნენ, ხან შთაბეჭდილებებს გვაწერინებდნენ, ხან დებატებს ვმართავთ. ეს ძალიან მომწონს“.

**პატრინა იონენკო:** „ოთხი წელია ჩართული ვარ სოციალური ინკლუზიის კლუბში. ძალიან მიყვარს მუს.თერაპიის კლუბი. მომწონს, რადგან შემიძლია განვავითარო ჩემი სმენა. თავიდან არ გამომდიოდა კარგად, არადა სულ მინდოდა სცენაზე გამოსვლა. ახლა მუს.თერაპიამ გამივარჯიშა ხმა, სმენა და ზუსტად ვხვდები იმ ნოტებს, საიდანაც უნდა დავიწყო სიმღერა. მომწონს მასწავლებელიც. კითხვის კლუბიც ძალიან მომწონს. ძალიან ლამაზ ლექსებს ვსწავლობ. სულის შეძვრა შეუძლია იმ ლექსებს, ძალიან შთამაგონებელია, ჯადოსნურია. ცოტა მიჭირდა ქართული სიტყვების გაგება, წარმოთქმა, მაგრამ ეხლა უკვე მიადვილდება. ლექსების წერაც კი დამაწყებინა ამდენი ლექსების სწავლამ“.

**მარიამ მაღოიანი:** „სულ თავიდან არ ვყოფილვარ ჩართული ამ პროგრამაში, მაგრამ რომ ვაკვირდებოდი ბავშვებს ვინც ჩართული იყვნენ, დამაინტერესა, რას კითხულობდნენ კითხვის კლუბში, რაზე დებატობდნენ. ძალიან სახალისო და საინტერესო კლუბებია. გვეხმარება სწავლაშიც, განვითარებაშიც. მხატვრული კითხვის კლუბმა დამაინტერესა, რადგან ბავშვობიდან მსახიობობა მინდოდა და გიგა რომ გვასწავლიდა მხატვრულად როგორ წაგვეკითხა ლექსი, ძალიან გამოგვადგა. თუ ადამიანს აინტერესებს, დროს გამონახავს, სკოლის შემდეგაც დამატებით ლექსი ისწავლოს. წელს ხელგარჯილობა დაგვემატა. მეზედმეტა, რადგან სკოლაშიც საგნები გვემატებოდა, მაგრამ როცა დაიწყო, ისე დაგვაინტერესა, მაგისთვისაც გამოვნახე დრო. ჩემი ხელით მაქვს დამზადებული სასუვენირო გიტარა, თეფშებზე ორნამენტები გამოვკვეთეთ, ვაზები გავაკეთეთ ყვავილებისთვის. ვისწავლეთ გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკები, რომელიც თავისუფალ დროს მომავალში შეიძლება გამოვიყენო“.

***სწორად შერჩეული სასწავლო პროგრამა, პედაგოგები, გუნდი, რომელიც ბავშვებთან მუშაობს პროგრამის წარმატების ლაკმუსის ქაღალდია ნამდვილად. სწორედ ეს წინაპირობა უძღოდა წინ ბოშა ბავშვების ასეთ წინსვლასა და წარმატებას. პროგრამის გუნდთან ერთად ამ ბავშვების დაუღალავმა შრომამ, მონდომებამ, სწავლისა და განვითარების სურვილმა, კიდევ ერთი მყარი ხიდის მშენებლობას შეუწყო ხელი, რომელიც ორ კულტურას, ორ ეთნოსს, ორ საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ მცხოვრები ხალხის ყოველდღიურობას და საზოგადოებრივ ყოფას მეტი სიმყარე და სიძლიერე შემატა. იმედი გვაქვს, ამ შრომის შედეგს საზოგადოება სულ მალე იხილავს და თავად დარწმუნდება, რომ შრომას ყოველთვის მოაქვს დადებითი შედეგი, შრომას, რომელსაც მოთმინებასთან ერთად გასაოცარი პლატფორმის მომზადება შეუძლია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მომავალ თაობათა განვითარებისთვის.***

**ქუქუნა ყანჩაშვილი**
**ხათუნა ბენაშვილი**


## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

**დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული სასწავლებელი აცხადებს მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:**

**2024-2025 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:**

**სწავლების ვადა 2 წელი.**

* მედდის საქმე;
* სამეანო საქმე;
* ფარმაცია;
* სამართალმცოდნეობა;
* ფინანსები და ეკონომიკა;
* ბიზნესის მენეჯმენტი;
* ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;
* ორთოპედიული სტომატოლოგია;
* საბავშვო ბაღის აღმზრდელი მასწავლებელი (ძიძა);

**გაიცემა ორენოვანი დიპლომი მუშაობის უფლებით.**

**სწავლების ვადა 1 წელი**

* ექთნის თანაშემწე;
* მოლარე-ოპერატორი;
* ბუღალტერი;
* სამკურნალო მცენარეების სპეციალისტი;

**გაიცემა ორენოვანი სერთიფიკატი.**

სასწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 სექტემბრიდან.

საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით ¾) და პირადობის მოწმობის ასლი, განცხადება (ადგილზე).

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ **მისამართზე:** ***ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ.№ 40 (არქივის შენობა II სართული).***

☎ **599 74 73 98, 555 20 04 35, 593 96 68 33, 574 20 20 92**


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 24.06 დღე | ღამე | სამშაბათი 25.06 დღე | ღამე | ოთხშაბათი 26.06 დღე | ღამე | ხუთშაბათი 27.06 დღე | ღამე | პარასკევი 28.06 დღე | ღამე | შაბათი 29.06 დღე | ღამე | კვირა 30.06 დღე | ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29 ° | 18 ° | 31 ° | 18 ° | 29 ° | 16 ° | 25 ° | 16 ° | 26 ° | 17 ° | 25 ° | 16 ° | 27 ° | 17 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
**გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი**